დავით ევგენიძე

რვაკომპონენტიანი სიტყვა

გაკურ სულაკაურის
გამომცემლობა

დათო ევგენიძე
რვაათასხუთასერთი სიტყვა
ლექსები

პირველი გამოცემა
© დათო ევგენიძე, 2000

მხატვარი
ეკა ჯაფარიძე

დამკაბადონებელი
ლუკა გოცირიძე

გამოიცა და დაიბეჭდა
„ბაკურ სულაკაურის გამომცემლობაში“
აღმაშენებლის 150ა, 380012 თბილისი

ISBN 99928-52-59-3

Dato Evgenidze
Eightthousandfivehundredone word
Poems

Design
Eka Japaridze

Layout
Luka Gotsiridze

© Dato Evgenidze, 2000

გლისანდო სიზმრებით

* * *

დღეს ვილაცამ გაიარა ცაზე
და დატოვა ნაფეხური მთვარის,
როგორც თოკზე სიარული ჩუმი —
ჩატეხილი საფეხური ღამის.
იმის იქით არაფერი იყო,
მზე იწვა და აბრმავებდა სივრცეს...
და სიზმრების ლურჯი ნატყვიარი
ბრმა მათხოვრებს ვარსკვლავებად მისცეს.

* * *

დღე ჰგავდა პეპლებს და სასოებით
ცა აგზავნიდა თოვლის ასოებს.
თვალები, ღამით ნაგისოსები,
სიზმრის ლასოებს ისროდნენ ცისკენ.
ზამთარი ერქვათ გაყინულ ჩიტებს.
ტუჩებს წყუროდათ შორი ალება,
მაგრამ თქვენ უკვე გაფრინდით მზისკენ,
როგორც ღიმილი და შებრალება...
ცა აგზავნიდა ღრუბლის ბარათებს
და კითხულობდნენ წვიმას ქუჩები;
ქარი თმაგაშლილ იისფერ ფარდებს
ეფერებოდა სველი ტუჩებით...

* * *

გულს სიხარული უნდა
იმ გაოცების მსგავსი,
როცა პირველად დედამ
ზღვას დაანახა ბავშვი.
სულს სიმარტოვე წეწავს,
ვარსკვლავს — ღრუბელი ცაში.
რა ამოიღებს ნეტავ
მთვარეს, ჩავარდნილს ჭაში!

* * *

ისევ დამათენდა...
ღამე ფიფქნარევი
ისევ დამათოვა
მთვარის მინარეთი...
ისე მდიდარია
მტკვარი ანარეკლით,
ღამეს გავურბივარ
სიზმრის მდინარეთი.
მალე მზე ამოვა —
ცაზე ფორთოხალი,
ცისფერს მოუხდება
როგორც ოქროს ხალი.
ვწევარ დაღალული,
რქაწითელით მთვრალი.
გვერდზე სიზმარს ხედავს
საყვარელი ქალი...
ძილი გამებუტა,
ზურგი შემაქცია,
თითქოს დავუქციე
შაბიამნის წყალი

მთვარეც დაღალა და
სადღაც წააქცია
მაინც ვერ დავხუჭე
ფერნასვამი თვალი.
რა ვქნა, ღამე არის
ჩემი არჩევანი.
უკიდეგანოა
მისი სიგრძე-განი.
გარეთ მანქანების
მესმის ხშირი ხმები,
ხმები მატორების,
ჩემი იავნანის...

* * *

ცამ აიფარა ნილაბი ღამის,
მთვარე ნავივით ღრუბლებში დადის,
თოვლი, ქალივით თეთრი და ნაზი,
ხეებს ხელებზე ნისლივით აზის.
ქუჩა სავსეა
სიჩუმით, ქარით...
ქარი — სიშორით,
სიშორე — ქარით.
თოვს,
გზაზე პურის მანქანა თეთრი
დადის მზესავით თბილი და ერთი...

* * *

არადანების სძინავთ ქალაქებს,
სადაც ერთმანეთს არვინ არ აქებს...
სამართებელი — სამართალი — თვალი დალაქის
სევდას,
ოცნებას,
სიყვარულს,
სიზმარს,
თმებივით ალაგებს...
და ამ სალონში,
თმააჩეჩილი არჩევანი შემოჰყავთ ძალით.
ზრდილობიანი ისმის შეკითხვა:
— კმაყოფილი ხართ თქვენი დაკრძალვით?
— შემდეგი, დაბრძანდით!

* * *

რაღაც მსუბუქი და მოჩურჩულე
იყო განწყობა თოვლის ქალაქში
უფრთხილდებოდნენ ფიფქები სულებს
წყევლას დატეულს თავის ქალაში
ქუჩები სთვლემდნენ ჩამქრალ თვალებით
გადაფითრებულ ხეების რიგზე
ტოტები — თეთრი ხელთათმანები
ელოდებოდნენ ერთმანეთს რინგზე
უხმო მანქანებს ფიქრი დაჰქონდათ
აშრიალებდა ქარი გაზეთებს
სხვას აღარაფერს ხმა აღარ ჰქონდა
მთელი ქალაქი თითქოს დაზეთეს
აქ ქარი მთვარეს უნგრევდა ბუდეს
მთვარეულები იქნევდნენ მკლავებს
შორს ცას ბავშვები ესროდნენ გუნდებს
და ცა ესროდა ბავშვებს ვარსკვლავებს
თოვლის საათი — გზა იდუმალი
ფერისცვალება უცნაურ სალმით

ღამე — ხვალინდელ მზის სასთუმალი
წერს ანდერძს მთვარის მოღუნულ კალმით
ღამე დადნება და თოვლიც გავა
ახმაურდება ირგვლივ ყოველი
ამ სიჩუმისგან სიჩუმის გარდა
მე სხვა სასწაულს აღარ მოველი.

* * *

ვილაცა ყიდდა ქუჩაში ნაჯახს,
მზე ივსებოდა ღამის ტკივილით.
ხელში მეჭირა თბილისის მაჯა,
ჯერ ისევ თბილი...
იმ ღამეს ალბათ სიბრმავე ერქვა —
გადასაყვანი ქაღალდი შავი.
ქალაქი ახლად გადაიბეჭდა
და აღესრულა სიზმარი ავი...
გავა დრო. ღამე შავებს გაიხდის
და ცა იწვიმებს სხვა მაჯისცემით.
სული — გაკრული ხელით ნაწერი —
ძნელწასაკითხი სიცოცხლე ჩემი.

* * *

გადაიხვეწნენ სიზმრები სადღაც,
ნაცრისფერ ხვლიკების — ქუჩების საუზმედ;
ჩემი ვარდების ვარდისფერ ფიფქებით
ქვრივ ხეებს ხელები ფოთლებით ავუვსე.
ნუთუ გაუძლებს,
ჩემი სული...
გაზეთებივით სხვის ხელში ჭერას.
ნუთუ გაუძლებს
შიშველი ლულა
უცხო თვალების ნისლიან მზერას?..
სევდის კედელზე, კალენდრად აკრული
დაკრძალულ დღეების ვითვლი პაუზებს...
და ველოდები
სისხლით დაწერილ
წითელ რიცხვების დღესასწაულებს...

* * *

ჩემი ცხოვრება — დამსხვრეული სარკე დღეებად,
სადაც ერთი დღე გადაიქცა ათას მზეებად,
დაგანახებს ჩემი სულის ათასს ღამეებს.
ჩემი წარსული — მომავალი ტკივილი ჩემი,
ათას ცალ ნავად დამტვრეული ოცნების გემი,
სინანულის ეძებს ნაპირებს...
ცალფეხა დღეებს ყავარჯენივით შეუდგეს ღამე,
მტირალა ხეებს შემოდგომამ ცრემლი მოწმინდა,
ისევ მომინდა გრიგალივით ქუჩებში ფრენა,
მაგრამ ქუჩები უსახელო ღამედ გაწვიმდა.
წამოვა თოვლი, გადაღებავს თეთრად ღამეებს,
იდუმალებას დაერქმევა ფერისცვალება...
და ის სიცივე, რასაც აქამდე დაარქვეს თოვლი
სიყვარულის მოვა თვალებად...
ჩემი ცხოვრება — დამსხვრეული სარკე დღეებად,
სადაც ერთი მზე გადაიქცა ათას მზეებად,
დაგანახებს ჩემი სულის ათას ღამეებს...

* * *

მე ძალიან მომენატრე...
დავიღალე.
ღამე ფითილია.
ცეცხლი მოეკიდა,
უცებ მიილია.
ჩემი ცოდვებით
ღმერთიც დაღლილია.
უღმერთოება აღარ შემიძლია.
და შენ მაინც დამესიზმრე...
ლია...

* * *

მე დავიჩემე, რომ ცა ჩემია,
ჩუმი მზე ზამთრის
მამაჩემია...
სწ̣ორედ აქედან გამომდინარე,
მოედინება ჩემი მდინარე...
ნისლში გამოჩნდა მთვარე მძინარე,
ეს დედაჩემი ათბობს მყინვარებს.
თოვს, ვარსკვლავები
ჩუმად ქრებიან,
ღამეს უყვება ზღაპარს ბებია.
მთებზე ლამაზი ოქროს თოვლია
ეს ბრწყინვალება ჩემი ცოლია.
წვიმს, ვარსკვლავები ლოცვით ქმნილები
აქ თამაშობენ ჩემი შვილები.
ეს ყოველივე მოჩანს ზევიდან
ჩუმად მფარველობს ციდან ჩემი და...
მე დავიჩემე რომ ცა ჩემია
და ვჩუქნი ამ ცას ყველა ჩემიანს.

* * *

თეთრი ოთახი,
სიჩუმე, ღამე.
მინდა რომ წვიმდეს...
არ გაწვიმდება...
გარეთ უაზროდ კიდია მთვარე,
შორ სახლებს იქით დილა მწიფდება.
რუხ სავარძელზე მათხოვარივით,
შავი (ველვეტის) შარვალი გდია.
დამწუხრებულა რატომღაც ჭაღი და დარჩენია
თვალები ღია.
გარეთ არავინ არ მღერის მთვრალი,
არც არვინ ტირის მარტოსულობას...
ამ სარკმელს იქით უჩემობაა —
სხვა რა დავარქვა უსასრულობას...

* * *

ისე ნაზად წვიმდა,
ფიქრს ოცნება ცვლიდა,
ფოთლებს ჩამოცვენა არ უნდოდათ ხიდან.
მაინც ჩამოცვივდნენ...
ხეებიდან ნაზ ფოთლებად ცვივა სევდის
თაიგული,
ქარი ქუჩებს ეკითხება:
„წერილი თუ სიხარული?“

* * *

ცაა ცის ფერი. ზღვა ზღვის ფერია.
მზეა მზისფერი, ტბა ტბის ფერია.
ვარდი — ვარდისფერი, ია — იისფერი.
ასე გადაღება ფერმა ყველაფერი.
ნეტავ, რა ფერია
არაფერი?

* * *

ღამე — შავი ფრაკი, ყელზე ბაფთა — მთვარე
ტანზე ჩავიცვი და სიზმრებს გავეპარე.
ბნელ დარბაზში თეთრი როიალი ნისლის
უსასრულო ნოტებს ფიფქებივით ისვრის.
უკაცრიელ პარტერს სული ველარ იტევს,
დამლაგებელს ცოცხი თეთრ ლეკვივით მისდევს.
ქრის ხემივით ქარი, სიმებს, ტოტებს არხევს,
სულს, ისედაც შეშლილს, ქარიშხლებით არყევს.
ვიცი არასოდეს დამშვიდდება ტალღა —
დაღლა არასოდეს! სულ მაღლა და მაღლა...
ცაში გაზაფხულმა თეთრ ღრუბლებს ჰკრა ფეხი,
სახით შეაჯახა და გავარდა მეხი.
წამოვიდა წვიმა, ქოლგა დაამძიმა,
ცამ თოკივით ცაზე ელვა გადაჭიმა.
შეშინებულ ქუჩებს, ელვით განალურჯებს,
ცა ანათებს თეთრად და სურათებს უღებს.
ეს სპექტაკლი დიდი, გაშეშებულ წამის,
ყვირილია ჩუმი, ნაქურდალი ღამის.
გათენდა და ქუჩებს აეყუდა მთვრალი —
თეთრ პერანგში ღამე, ბურუსივით მკრთალი.
ღამე — შავი ფრაკი, ყელზე ბაფთა — მთვარე...
გათენდა და ნაზად გადავფინე ქარებს.

* * *

შიშველი ღამე,
ვარსკვლავები ნაკბენი ცაზე,
ახალი მთვარე — მორიელი...
ოქროს ბეჭედში ქალწულის თვალი...
ვიღაც სარკმელთან
დასუსხული ტუჩებით ჩურჩულებს სახელს,
ყვითელ ფოთლების თვითმკვლელობით
აივსო სივრცე...
ნოემბერი ჯადოქარივით ქუჩაში დაწვეს.
დეკემბერია,
ისევ წაართვეს ისრები საათს
და კვლავ უმიზნო სურვილივით ცაში ისროლეს
და რა შეეძლო სხვა დაჭრილ ღამეს,
გათოვდა...
ცას ღამე მოწყდა,
და მიწაზე რბილად დახტა შავი თათებით.
დაბნელდა,
თითქოს მზეს წინ კატამ გადაურბინა
ხეებს აეკრო იანვარი თოვლის ქალივით
და სველ თვალებზე ლოლუები ჩამოეყინა...

* * *

მოდის ღამე ვერცხლის ეშვით
და სიზმრების სავსე პეშვით.
იზარება ყოველივე
მოსალოდნელ შიშის ეჭვით.
დაიღალა შორი წვიმა
უსახელო ლექსის ბეჭდვით.
ქუჩა უყდო რომანია,
სავსე უსასრულო სევდით...
და კრავივით უსუსური
ნევს საღამო შესაწირი.
მოდის ღამე ვერცხლის ეშვით
და სარკმელში ქუჩა ტირის.
ეს — ქალაქის თეთრ ფურცლებზე
ხეტიალობს ჩემი გმირი,
მზე — მასხარა ცრემლიანი —
შენიღბული მეფე ლირი...

* * *

რა სიჩუმეა
თითქოს არავინ...
არავინ თითქოს აქ არ ყოფილა...
შენ გეშინია აქ დაბრუნების
როგორც არავის.
ეძებ ნაბიჯებს გაუთავებულს
გაუთავებლად...
შენ შეგაშინეს უცხო რეპებით
როგორც სიბერით...
შენ გეშინია აქ დაბრუნების
სწორედ ამიტომ
სწორედ ამიტომ აქედან წასვლას
ველარ ისწავლი.
რა სიჩუმეა...

* * *

ცა დაამძიმეს თეთრი ღრუბლებით
ორსული სული წვიმით სავსეა
ნუთუ ასეა მზე განწირული
ფერისცვალებით...
ფერის წვალება ღამის ხვედრია
გზები დასერეს ვერცხლის ლურსმნებით
თვალებახვეულს მთვარის თითებით
თეთრ უფსკრულისთვის ნუ გამიმეტებ...
ვილაცამ შეხსნა ქარებს აღვირი
რამდენი მზეა ზღვაში ჩაღვრილი
თვალებდაღვრილი საღამო ჩემი
ისევ ბავშვია...
ნუ დასჯი ვარსკვლავს
ნუ დააყენებ ღიმილს კუთხეში
გზა გაბზარული ელვა უხეში
შორი ჩრდილია ცისარტყელების
როცა ხელები გპასუხობენ ჩუმი ნოტებით
ზურგს ნუ შეაქცევ...
ნუ გადააქცევ სარკეს ქუჩაში
ქუჩაში გუბე ისეც ბევრია

და თუ შენს სურვილს შემოერია უცხო ნაბიჯი
ცრემლს მაჯისცემად ნუ გადააქცევ...
ისევ დამნებდი...
დამნებდი ისევ, როგორც პირველად,
დამარცხებაში სამოთხეა გაშიშვლებული...
მე ვერ დავიწყებ ნგრევას კლდეების
კლდეს თვითონ უდევს მსხვრევა ფუძეში
ის რაც არ არის თოვლის ღრუბელში
მას შეუძლია გათოვდეს მხოლოდ...
მკვლელობას ნუ მთხოვ...
ნუ დაამძიმებ ცას ქვის ლოდებით
ნუთუ ასეა მზე განწირული
ფერისცვალებით...

* * *

ოთხმოცი წლის მევენახემ
პაპა იონამ,
ალიონი ყალიონით გაიიოლა...
დილის მადლი გაიხსენა,
ღვინო დალია...
შუაცეცხლთან წამოწვა და
სული დალია.
ცა ოქროსფრად გაიხსნა და
მზე ამოვიდა,
დღეს მოხუცი თავის ბაღში
აღარ მოვიდა.

* * *

ნუთუ დასრულდა უსასრულო კამათი მზესთან
და ეს თვალებიც კამათელია,
დასალუპად გასროლილი უცხო ხელიდან...
დღეს ნეკნებივით აგროვებენ ახალ კიბეებს
და სურვილები ამოდიან ორმოებიდან...
ეს ყველაფერი ყვირილია ნაძალადევი —
ცა ნაფოტივით ჩამოთლილი უსასრულობას
ადრეულ ვარდებს ადრეული ელით სიკვდილი,
შორეულ მთვარეს სხვისი სიზმრით დაორსულება.
და თუ სიბრმავე სინათლეა მიუღწეველი
და თუკი ღამემ მოულოდნელი დამადგა ტვირთი,
ჟონგლიორივით მიჭირავს ხელში ელვარე წყევლა
და ვუბრუნდები დედამიწას მეტეორივით.

* * *

გზა იყო მშვიდი და უსინათლო.
მზის (სადღაც მხოლოდ) მოჩანდა ზოლი.
ძველი სახლების საკვამურიდან
უცნაურ ზღაპარს ყვებოდა ბოლი.
მატარებელი უკრავდა დოლზე,
შორს სახურავებს აძრობდა ქარი,
ხეზე ხურმები ცეკვავდნენ ხორუმს
და გაისმოდა მათი ხარხარი.
კვამლი იცვლიდა თანდათან სახეს —
ხან ჰგავდა ეშმაკს, ხან კამელიას...
მერე უეცრად ნისლივით გაქრა
თითქოს ხილვები შემოელია.
ვიღაცის სიკვდილს ყმუოდა ძაღლი,
ბრმა უკუნეთის იყო ნათლობა,
ღამემ დაღლილი ასწია სახე
და შეაჩვენა უსინათლობა.
ქალაქი ძოვდა ქუჩებში დილას.
გზა იშორებდა სიბრმავის მანდილს.
მზე დაიხატა იმავე ცაზე,
სადაც ყოველდღე იხდენდა წადილს.

* * *

ხიდი — პატარა და დიდი,
კიბე — უსაზღვრო და კიდით.
ღამე — უსასრულოდ ბნელი.
მოდი — გამიწოდე ხელი.
გელი...
ჭაღი — ნათელი და საღი,
პატარა ნათურების საბავშვო ბაღი.
სავარძელი — დათვის ბელი,
სულ გაშლილი ორი ხელით,
ჩუმად ზის და სტუმარს ელის.
იქვე ტყუპი ფეხსაცმელი.
ძველი...
სარკე — მიტოვებული ქალი,
წრეში ჩასმული რკალი,
გზააბნეული თვალი
და ორად გაყოფილი სიმარტოვე.
მივატოვე...

* * *

ერთი პატარა სანთელი ბჟუტავს
მე ვწევარ მარტო...
ბუხარი თვლემს...
ერთი ანათებს, მეორე მათბობს...
ყრის ნაკვერჩხალი ძირს ძოწის თვლებს...
მარტო ვარ, ძილშიც არავინ არ გრძნობს,
თუ როგორ ცივა ჩემს ღამეს დღეს...
ღამეს ცივა და არაფერს ამბობს,
უბრალოდ ცივა, ტირის და წევს...

* * *

ომი დამთავრდა...
ისე უეცრად...
ისე უმეცრად დამთავრდა ომი...
თითქოს ეს ომი თვითონ დაიწყო
თვითონ დამთავრდა, უჩვენოდ ომი...

* * *

ღამის პანთეონს
მოწყდა ნეონი
ახალი მთვარე —
ქამელეონი...
მერყევ გუბეში —
როგორც ნუგეში
ქუჩამ დამალა
მთვარე უბეში...
და ძველ უბანში
დილასთან ერთად
ცას აგინებდა
ვილაც უხეში...
წვიმა არ შეწყდა
წვიმა ცვიოდა
წვიმას, ციოდა
ამ სველ ქუჩებში.
მე კი ვიწექი
სიზმარნაკლული
და მზე მკოცნიდა
მტვრიან ტუჩებში...

* * *

გათენდა. ფარდა აივსო შუქით.
მენაგვე ყვითელ ფოთლებში გაქრა,
ძველისძველ სპექტაკლს, როგორც ნაძვის ხეს,
ვიღაცა ახალ თარიღებს აკრავს.
გაზეთებივით ჭრელდება ქუჩა
და მანქანების ირევა შრიფტი,
სხეული, როგორც მაკულატურა,
რუხ სახლებიდან ჩამოაქვთ ლიფტით.
უცნობი მზისგან ორსული ქუჩა
მილიარდობით ნაბიჭვარს ბადებს,
ბრაზდება ღამე და გამეტებით
ცას ვარსკვლავების ალიმენტს ადებს.
ჩავიდა მთვარე და, როგორც ლოთმა,
გადაუხადა სივრცეებს ვალი,
უეცარ სიზმრებს — დაქცეულ ლაქებს —
კვლავ ამორეცხავს მრეცხავი ქალი.

* * *

ვიდექი ტკბილი ბამბების რიგში
თოვდა და თოვლში ქრებოდა კვალი
და როგორც სუნთქვა თვალახვეული
მეორდებოდა ყოველი წამი...
აღარსად იყვნენ ჭრელი ბოშები
შუშის ტროსტები დაემსხვრათ თოვლში
და ძველისძველი ეზოებიდან
აღარ მეძახდა „სტარიადოჟი“...
მთელი სამყარო მიბმული თითზე
ეხეთქებოდა ხელისგულს ისევ
რეზინა გაწყდა და დედამიწა
ჭრელი ბურთივით მიგორავს ხიდზე...

* * *

ყველა ხატზე ძლიერი
ალბათ, ჯერ ის ხატია
ცაში ცისფრით მდიდარი,
რომ არ დამიხატია...
ყველა ცოლზე ლამაზი
ალბათ ჯერ ის ცოლია,
ჩემი ცოლი რომ არის,
გვერდით რომ არ მწოლია.
ყველა ღმერთზე მაღალი
ალბათ ჯერ ის ღმერთია,
ჯოჯოხეთშიც რომ ვიყო,
მაინც რომ სულ ერთია...

* * *

თივის ზვინები გემებივით დაცურავენ უცხო
სარკმელში.
უცხოა ის ხმაც,
უხეში ხელით შეშას რომ აპობს...
შორს პატარები თამაშობენ მზეებით მზეში,
დაღალულ ცას კი დაღამება აღარც კი ახსოვს.
სადაც არა ხარ, არც ღამდება ალბათ არასდროს...
ამ შემოდგომას
დააბრალებენ ხეები ღალატს;
ჩამოვა ღამე, მოპარული იებით ხელში,
და მოსაკვეთად გაუწოდებს სველ ხელებს ჯალათს.
ჯალათი ასწევს ქუხილივით გალესილ მთვარეს
და ვარსკვლავების წამოუვა ღამეს ცრემლები,
სხვა არაფერი არ იქნება,
უბრალოდ გზაზე,
თივის ზვინებთან, თავს დახრიან შავი ცხენები...

* * *

როდესაც საყრდენს არ გრძნობდა სული
და თვითონ ედგა გზას მოლოდინად,
ცაზე გაეკრო მთვარე ორსული
და ვარსკვლავები მოილოგინა...
ეს იყო ალბათ სიზმარი ცხადში —
გაშიშვლებული ოცნების აბმა —
მძივი, უეცრად ნასროლი ზღვაში —
და დემონების ღუზებით დაბმა.
დაღამდა. თოვდა სუნთქვა ცრემლივით...
დანალმულ მიწას დაემსხვრა სახე.
ცა დაიბზარა უეცარ სხივით:
„ჯვარზე გაკრული თქვენ უკვე მნახეთ“
როდესაც საყრდენს არ გრძნობდა სული
და თვითონ ედგა გზას მოლოდინად,
ცაზე გაეკრო მთვარე ორსული
და ვარსკვლავები მოილოგინა...

გლისანდო სიზმრებით

გაოცების ჰამაკში
როგორც ბოლო იმედი
შორს გამოჩნდა სიმშვიდე
მერე ახლოს მივედი
იყო ცისფერი ხედი
და ჩურჩულის სიდიდე
სიზმრებს როგორც ბილეთებს
სველ ქუჩებში ყიდიდნენ.
ქარი ქუდებს აძრობდა
ხეებს როგორც დალაქი
გადაპარსულ საათებს
არ ეტყობათ ასაკი.
შორს გისოსებს — აივანს
დაეკიდა ავაზა,
სარკმელს მოწყდა ყვავილი
და ბროლივით დაიმსხვრა.
ამ უცნაურ სპექტაკლში
თვალს გაექცა გალია
ღამე შავი გველია
და რძესავით დაღვრილი

მთვარე უცებ დალია.
მოულოდნელ რენტგენით
განათებულ ნეკნებზე
ასოები — ხალები
ნოტებივით დადიან.
ნისლი ნისლზე წვებოდა
ჩურჩულებდა უფსკრული
ღამე იყო უსახო
მღვრიე და უფერული
უფსკრულს არ შევუშინდი
სიზმრის თოკზე გავედი
ხელში სუნთქვა მეჭირა
როგორც რიცხვი ცამეტი
ცის უცნაურ ეკრანზე
გზა ლანდივით ქრებოდა
ისევ ბავშვი ვიყავი
დედა მენატრებოდა
და ძველისძველ ბუხარში
მზე პურივით ცხვებოდა...
ეს სიზმარიც დასრულდა
უცნაური ილეთით
დღე ღამეს დააცილეს
ერთი მცირე ტირეთი.

* * *

ჩასახულ სხეულს
სახე ეული
ცას ახეული
ცალი სახელო —
მთვარეს კიდია
როგორც სნეული
ცა უსურნელო
 და უსახელო
და მე არ ვიცი
სხივი რჩეული —
ანგელოზების
თეთრი საყელო
სიზმარი ლოცვას გადაჩვეული
ღამეებს როგორ დავუსახელო...

* * *

ეს ზამთარიც თებერვალში ჩაძვრა,
— მშიშარა და ცივი თეთრი თაგვი,
თოვლი გადნა და ქუჩებში ვამჩნევ
მოსეირნე ძველ მანქანებს ნაგვის.
„კიდევ ერთხელ გადავურჩი ზამთარს
კიდევ ერთხელ მიმატოვა ქარმა“
— ეს ხომ უკვე გაიარა ერთხელ
ამ ქალაქში ჩემი სიზმრის მგზავრმა.
აბა მე რა უნდა გითხრათ მეტი
მარტია და მზე მე ნერვებს მიშლის
მარტო ვარ და ისე როგორც ადრე
სველ ქუჩებში ღამე ლოგინს იშლის.
ღმერთო, ჩემში ვერ ვერევი სიზმრებს
თითქოს მაქვს და თან არა მაქვს ძალა,
როგორც ზამთარს გაზაფხულზე ისე
— ეშმაკს უნდა დავუმსხვრიო ქალა.

* * *

არის ამ ქვყნად სახელი ტატო
არჩევანია მისი უფსკრული
ის დადეს ცაზე მზესავით მარტო
სურვილის კოდი — თვითონ სურვილი...
ის ჩემი სიზმრის მეგობარია
არ ეშინია რიცხვი — ცამეტის
და თუკი ცამდე ვეღარ მივედით
მე ვიცი ჩემთან თვითონ ცა მოდის...

* * *

ნუთუ ეს არის ზამთრის ალიბი,
მთვარის ქალა და თოვლის ლაქები,
ოთახში გდია ღამის ყალიბი,
გუმბათებივით დგანან ლამფები.
ნუთუ ეს არის ღამის ალიბი,
მკვდარი ქალაქი, თოვლის ქალები,
ქუჩებში დადის ღამის დალაქი
და აღარ ეძებს სიზმარს თვალები.

* * *

ციდან ცამდე სიარული
რა თქმა უნდა არის რთული.
სადაც დგახარ, იქ იწყება
და სრულდება დასასრული.

* * *

უკვე რამდენჯერ უცხო კედლებს შევკედლებივარ,
ერთი ჭერით,
ერთი სარკით,
ერთი სარკმელით,
რამდენ ლოგინს აუხდია ჩემთვის ნამუსი,
და მერე ჩუმად, სიზმარივით თავი მოუკლავს.
ყოველი ღამე — შავი ძაფი თვალში გაყრილი.
ზედ აცმული ბრმა დღეების ყალბი მძივობა
მე მიჩუქნია შენთვის
შენთვის
შენთვის
იმისთვის
და მერე ჩუმად დამიდია სხვასთან პირობა...

უცხო ლოგინში გაუხდია პერანგი სიზმარს
და ზღვის ნაპირას უპოვნიათ ნამუსახდილი...

* * *

მტრედი ჩიჩქნიდა ნაწვიმარ ასფალტს,
დღე თენდებოდა არაფრისმთქმელი.
ნაგავს ქექავდა მოხუცი ქალი,
იქ ეტეოდა სამყარო მთელი.
კვლავ არ ეძინათ უაზრო ჩიტებს,
ნერვებს მიშლიდა მათი გალობა,
დღე თენდებოდა ტყუილივით ძველი
და იღვიძებდა შთამომავლობა.
მე ვერ გავიგე მხოლოდ ერთი რამ —
მენაგვე გვიდა ვარსკვლავებს ცოცხით?..
რატომ გათენდა ასე უეცრად?..
და ღამე რატომ აღმოჩნდა მორცხვი?..

* * *

ვიცი ძნელია დროსთან შეხება
და რომ სისწრაფე სახიფათოა
ბევრჯერ მასწავლეს...
შენ არ გაწვალებს ხაზთა მისია
და რომ ეს ღამე არავისია
შენ არ გაწვალებს...
ცაზე რომ ღმერთი ასე მარტოა
ეს ხომ მისთვისაც სახიფათოა.
და მე არ ვიცი ცას რა ჭირდება
ღმერთო მე მოვალ შენთან ოდესღაც
მოვალ ბავშვივით...
როცა ორივეს, როცა ორივეს გაგვიჭირდება...

* * *

ამ კედლიდან ისევ მიცქერს
საათების მრგვალი სივრცე —
ფრთებმოტეხილ ბელურების გალია...
ექვსის ნახევარია და
გადაღლილი ჩუმი ჩიტი ფრთებს ჩამოყრის.
გარეთ წვიმს და საშინელი ქარია...

* * *

ისმის ფლეიტა ჩიტის,
ქუჩამ ჩაიცვა ჩითი,
ნიავად იქცა ქარი,
ტუჩზე მიიდო თითი.
ღამე ჩაეკრო ხეებს,
ფოთლები სიზმრებს ქარგავს,
მოუფერებელ ხელებს
ისევ ნოტებში ვკარგავ.

* * *

დღეს ჩემი ფიქრის არის საგანი
ჩემი ნივთების სივრცე — საკანი
საათი, როგორც ჩონჩხი კიდია
არც პატარაა და არც დიდია.
ნერვებს მიშლიან ძველი სკამები
როგორც დოგმები, როგორც გვამები.
ჭერზე თვალღია ჭაღი დაჰკიდეს
ზანტად ანათებს შეშლილ მაგიდებს.
და ეს მაგიდაც ყავისფერია
ფერი ხომ მისთვის არაფერია.
ყოველი მხრიდან ისმის გუგუნი
და ეს გუგუნიც არის უგონო
უაზროდ გალობს ხეზე გუგული
და მე არ ვიცი რა მოვუგონო
ცოლი მიმზადებს ყავა „ნესკაფეს“
გარეთ საღამოს ფერი მზადდება
და ყველას ვინც კი დღეს ეს მზე ნახეს
ამ ღამეს მთვარით დაუფასდება
მთვარეა სრული, სავსე, ნათელი

კრუპიე ისვრის ზანტად კამათელს
მესმის, სინათლის ფული დათვალეს
ეჩხუბებიან გარეთ სახლმმართველს...
ეს ყველაფერი არის სიტყვები
უაზრო დროში ფაქტების გროვა
ალოგიკური არსი ნივთების
უბრალოდ ტვინმა რაც დააგროვა.

* * *

ქარი ყელსაბამივით მოეხვია ხეს.
ღამე — შავი კატა — სახურავზე წევს.
ფოთლებს — მარაოებს — ცა ინიავებს.
მთვარე თეთრად ხატავს
გუბეებში ზღვებს.
გთხოვ, რაც მოგიყევი,
მოუყევი სხვებს.

* * *

გათენდა. თოვდა და დილა ჰგავდა
თეთრ ვარდს, ეულად ქუჩაში ნასროლს.
ვილაცამ ჩუმად დახურა კარი
და სიზმარივით ჩაეკრო საწოლს.
მერე ვეძებდი სარკეში სარკმელს,
გადამალული ნისლის თვალებით.
რაღაც უცნაურს ამბობდნენ სათქმელს
შავში ჩაცმული თოვლის ქალები.
ხეები ყეფდნენ დაღალულ ჟინით
გადავიწყებულ ალერსის ამბავს,
გათენდა. თოვდა და მთვარესავით
დათოვლილ თოკზე ეკიდა კაბა...

* * *

ისევ ზღვა, ისევ ზღვის ნაფლეთები,
როგორც უცნობი მგზავრის ბილეთი —
ნაპირთან ეგდო მზე გაპობილი
რიცხვების უცხო საპყრობილეთი.

* * *

ცა გადაფურცლავს დღეებს
და ათასობით მზეებს,
მიატოვებენ ისევ
მწვანე ფოთლები ხეებს.
გზებს მოიშორებს ქუჩა
და ბოლოს სადღაც მივა —
სადაც არნახულ ქარში
თვითონ ქარებსაც ცივათ.

* * *

სივრცე აივსო
მზით და ცდუნებით
მე ცოდვილი ვარ
ჩემი ბუნებით.
ღამის გარეშე
რაა ბუნება?
ამაში ცაც კი
დამერწმუნება...

* * *

დღეს ჩამსხვრეული აქვს ხერხემალი
და მზეც თანდათან უფრო ცივდება
ღამეს გაუცვდა მთვარის ემალი
და ცას ქალაქი უფრო სცილდება.
ჩამქრალ ქუჩებში დგანან ლანდები
თითქოს დაჰკარეს სადღაც ჩრდილები
ცაზე მოგროვდნენ ღრუბლის ბარდები
გადაცრეცილი თოვლის ჩრჩილებით
და მე არ ვიცი ჩემი სიზმარი
ამ ზამთრისაგან სხვას რას ელოდა
მე ეხლა ვხვდები შენ რაც მითხარი
— უნდა წახვიდე საქართველოდან...

* * *

მზე მორყეულ სარკეში
ცის ნაფლეთებს ღებავდა.
და ჩემს გარდა ფეხმძიმე
დღეს ვერავინ ხედავდა...
ღამე უკვე არ იყო
ის ძაღლებმა გარიყეს
უკანონოდ შობილი
დილა დაათარიღეს...
უმიზეზო ბურთივით
მოვგორავდი ქუჩებში
და სამოთხეს ვკოცნიდი,
როგორც ცოდვას ტუჩებში...

* * *

მომართულია ჩემკენ
ცა — დიდოსტატის ხელი.
ახალშობილი ტალღით
ზღვამ მოიღერა ყელი.
სევდით ნალესი ხილვა —
ახალი მთვარე ბასრი,
ცა, გაჩეხილი ორად,
მზე — მოგორავე კასრი...
გამოედევნა სიტყვებს
აელვებული აზრი
და მოითხოვა ჩემგან
გრძნობათა ახსნა მკაცრი.
მე ვერ დავარქმევ, ვერა,
სულს ვერანაირ სახელს,
მოვა ერთხელაც ღმერთი
და ყოველივეს ამხელს...

* * *

მძინავს და ვხედავ ვერცხლის სამოთხეს
ღამე იშუშებს მთვარის იარას,
სიზმრის ჯაშუშებს თვალებს აუხელს
— ელვა ჩემს სულზე მზით რომ იარა.
რა არის წვიმა, თუ არა ლექსი
ნამსხვრევი გულის სეტყვა-სიტყვებად,
მესვრის ქარების ხელთათმანს ზევსი
და ყველაფერი მეპატიება...
უცხო მგზავრივით წავა სიზმარი,
მარტი თოვლივით გაქრება უცებ,
უეცრად სარკმელს გააღებს ქარი
და შემოიტანს ოთახში ქუჩებს.

* * *

რა მაგიაა ასე ძლიერი
რომ ვერ შევწყვიტე სიტყვათა წყება
ამ სიტყვებს შორის ვიღაც ცბიერი
თანდათან ძველი თოვლივით ქრება...
გათენდა, ფარდაც გამჭვირვალეა
და სარკმელს იქით დუმან სახლები
ჯერ უმანკოა ჩემი ქალაქი
მზესაც არა აქვს ხელი ნახლები.

* * *

ბებერ ზამთრის გასაქურდად
დღეს, ამ დილას გაზაფხულდა
და ქურდებმა შიშველ რტოებს
შეაყარეს თოვლის ხურდა.

* * *

აპლოდისმენტი
აურაცხელი
აურა ცხელი
აუ, რა ცხელი
ხელი...

* * *

ხან წვიმაა, ხან თოვლია
ხან მზეა და ხანაც ქარი
აქ ქუჩებში დასეირნობს
ერთად ცოცხალი და მკვდარი.
აქ ხიდები აერთებენ
საიქიოს, სააქაოს,
თეთრ ღამეებს შევეზარდე,
როგორც ჰარმონია ქაოსს.

* * *

მოხვალ მახვილით ხვალ
მოხვალ იხილავ ხილვას
მოხვალ აიხელ თვალს
ამ ხელს მოხვალ და ამხელ
სახელს დაარქმევ ხმას
იმ ხმას რომელსაც იხმობ
იმ ხეს რომელსაც ახმობ
მოთხოვ თანხმობას ცას
მოხვალ მახვილით ხვალ
მოხვალ იხილავ ხილვას...
კვლავ შეიყვარებ ილვას
ელვას რომელსაც კლავ...
მოხვალ იხილავ ხილვას
მოხვალ მახვილით
მოხვალ...

* * *

გალახულ მზეს გავს,
შენი თვალები...
სულს ალბათ უჭირს,
ღრუბლის ტარება.
სიზმარი ლოცვას
მიუკარები,
ცას გადაექცა
ღამის კარებად...
ბევრია გზაზე სიტყვა ნაგეში,
მზე ნაფერები დამრჩა ბლონდებად.
დრო — საათების სველი ნუგეში,
ცრემლის ჩვარივით მომაგონდება...
ხუროთმოძღვრება მჯეროდა სიტყვის,
და არ მჯეროდა სეტყვის ტყვეობა...
დღეიდან უკვე მრავალი იტყვის,
რომ აქ დასრულდა მთვარის დღეობა...
თენდება, რაღაც მკაცრი და შორი
დილა — ნალესი ელვის ბწკარივით,
ჩვენ მოვდიოდით სიზმარში ორი...
და გულისცემა მესმის ზარივით...

* * *

ცა იშორებდა ღამის ნატერფალს.
და შორს ძაღლებმა შეწყვიტეს ყეფა.
კეფალს ყიდიდა ვიღაც მეთევზე,
წვიმაც იწყებდა ნელ-ნელა კლებას.
ჭრელი მენაგვე ჯიხურთან იდგა.
მზემ გადაწმინდა სიზმრისგან დახლი,
დღე ძველ გაზეთებს ახლებით ცვლიდა
და იჯერებდა რატომღაც ხალხი.

* * *

მე ფრაგმენტი ვარ
შენი ნახატის
ცის ნაფლეთივით
ნასასოები
თითქოს გახვრიტეს
მთვარე მახათით
და ჩამოკიდეს
ცას ასოები...
ძველი წიგნივით
ზღვა — მტვერნადები
ინახავს წერილს
ჩემი ლოცვების
ტალღები ბავშვის
ნაფერადები
ფერთა სიმრავლით
განაოცები
მაგონებს წარსულს...
მე ფრაგმენტი ვარ
შენი სიზმრების

ერთი ნაფლეთი...
უყურებ ასულს
თითქოს ღმერთი ვარ
ველარ გეხები
როგორ დავბერდი...
მე ფრაგმენტი ვარ...

* * *

კიდევ ერთი ლურჯი დილა
და ქალწულის ლურჯი სახე
კიდევ ერთხელ დილის თუჯი
ჩემ სარკმელში დავინახე
გაიფრინა თვითმფრინავმა
და დატოვა თვით ხმა ავი
გააცურა მავრმა ნავი —
ღამემ დამანება თავი...
და სარკმელში გადმოცურდა
დეზდემონა — დილა თეთრი
ვარსკვლავების ვერცხლის ხურდა
ტანთ ედაღა როგორც კეთრი
თეთრი სივრცე განწირული
ჩაძირული მთვარის ლანდი
ოფელიას თეთრი სული
ჩემს ოთახში ჩუმად დადის
გადის კიდევ ერთი ღამე —
მოწყვეტილი ვარდი შავი —
და მიჭირავს როგორც გვამი
ღამის მოკვეთილი თავი...

* * *

ვდგავარ მარტო, სული ზღვაზე
სიბერის და სიზმრის ზღვარზე
საღამოს ცხრის ნახევარზე
ჩამავალ ცის ნახევარმზე.

* * *

განმარტოება
მთვარის რტოებით
სავსე ღამით და
ამაოებით
სიზმარს მოება...

ისევ მარტო ვართ
მე და ამინდი
მზე მე არ მინდა...
წვიმს და დაბინდდა
სადღაც გაფრინდი...

ფერმკრთალია ცა
ჩემთან მოდის ტყე
უფერული ზღვის
არეკლილი ხმა
როგორ მოვიქცე
ღამეების ტყვე
თუ სიკვდლი ცის
უხარია ცას...

რაღაც მესმის
ეს მის სუნთქვას
ისმენს —
ცა ნაწვიმარ
დილის პერანგს
იცვმევს
მზემ სიზმრების
დაიკიდა აცმა
მხოლოდ შენ თუ
გაპატიებ ჯვარცმას.

* * *

ხელის გულზე დამემსხვრა
ღამით მთელი სამყარო
— მთვარე არა, რამე სხვა
ყვირის ციდან საყვირი...
მზეს ჩამოწყდა საყურე —
ხმა — ნიშანი ძახილის
შეშინებულ სახურავს
აძრობს ელვა მახვილით...
გადახლართულ ტოტებში
ჩამოახრჩეს სიზმარი
მოდის სეტყვა ნოტების,
ეს ნოტები ცის არის
დარბის კატა წითური
და გუბეში იმსხვრევა
შორს მბჟუტავი ნათურა
წარსულივით ირხევა...
არყევს ხეებს მაღლიდან
მღვრიე ქარის წადილი
თითქოს ღამეს სახიდან
მოახიეს მანდილი...

* * *

დგას ულმობელი ცივი ზამთარი
მეზობლის სარკმელს შეზრდია ხედი
ქუჩებში ვკარგავ განწირულ თბილისს
ქალაქს რომელშიც ცაც კი დაბერდა
პატარა ბავშვი თხოულობს ხურდას
შავ მანქანების ჩაუვლის ურდოს
ვიღაც უკვდავი უჩივის სურდოს
კარებს არ უღებს, რა ქნას არ უნდა
მოვალ სახლში და ავანთებ ბუხარს
წამით გაქრება მკვდარი ქალაქი
დგას ულმობელი ცივი ზამთარი
და პარსავს სიზმრებს ღამის დალაქი.

* * *

სიზმრის გამოფენაზე
ცამ იკბინა ენაზე
მთვარე წამით გაწითლდა
და დაეცა სცენაზე.
შენც ჩაები ბავშვივით
ვარსკვლავთ გადარბენაზე
მორიელი მზად იყო
მშვილდოსანის კბენაზე.
ქალწულების არმიას
იერიში არ მიაქვს
ეცოდება მერწყული
სხვანაირი შარმი აქვს.
დაიღალნენ ლომები
ცეცხლიანი ომებით,
სწორუპოვარ ტყუპების
აუჯანყდნენ ტომები...
წყალბადებს და ატომებს
კიბო ბევრ დროს ანდომებს,
წყალს ბადებს და არ ტოვებს
ცის ბადეს და ფანტომებს...

ფანტასტიურ საათებს
ცა მთვარეზე ასწორებს,
ღამეს საყურეებად
ჩამოჰკიდებს სასწორებს.
მე რას მერჩის არ ვიცი
თითქოს სმერჩის ღერძია
ელვარებით დავიწვი
ეს ხომ თვითონ ვერძია
ვერ იძია შური და
ცის რკალს დაღი დაასვა,
თხის რქას უცემს გული და
მზე მიწაზე გადასვა.
თევზებს გზა აქვთ შორი და
ორი — საპირისპირო
ფიროსმანის ბედივით
შეიფარე ზღვისპირო...
პირსისხლიან ამინდში
ცაზე დარჩა ორი და,
ხარი ბღავის — გამიშვით,
მელოდება კორიდა!..

კურო კარებს კირავს და
კერავს კრავის ლაბადას,
ვარსკვლავთ ბერიკაობა
ამ კვირა დღეს დამთავრდა.
ცამ დაუშვა ფარდა და
წამით დაგვემშვიდობა,
ამის გარდა მე შენი
სიყვარული მინდოდა!

* * *

იმ დღეს სარკმელში ჩანდა
თითქოს კენგურუს ჩანთა
ღია დარჩა და ქალთა
ჩუმი სიმღერა მესმის...
ეს მის შვილობილს მთვარეს
სადღაც უცნაურ მხარეს
ღვინოს ასმევდნენ მწარეს
და მე დავხურე ფარდა...
ჰგავდა მოყოლილ ამბავს —
ძირს ჩამოცვენილ ანბანს
თავზე ვიფარებ საბანს
და მეშინია შენი...
ენით ყველაფერს გეტყვი
მზიდან სიტყვების ბერტყვით
სარკე დაიმსხვრა სეტყვით
და ვერ ვპოულობ ალმასს.

* * *

მან დილით მოიძრო მანდილი
იმ ღამის წადილი ასრულდა
არ სურდა სიშიშვლე...
ფერმკრთალი —
სიზმარი კეფაში ჩაცურდა.
გაცივდა მთვარე და არეკლილ
ეკლიან სარკეში დაიმსხვრა
დაისვრის სახეს და არმოკლულ
ანგელოზს ხელებზე დაისვამს...
სვამს ღვინოს ჩალისფერ ტუჩებით
შუადღე — მზისაგან მაძღარი
შუქჩრდილებს აკვრიან ქუჩები
სახლებმა თავები დახარეს...
მანდილი მან დილით მოიხსნა
ხსნა იყო ცრემლი და ქალები
უნდოდა სიზმარი აეხსნა
და ისევ დახუჭა თვალები...

* * *

მე მახსენდება ხილვა
გვალვა — ფერდობი ხალვის
ალვის ხეებში მალვა
ცაზე ნისლები ქარვის...
არვის ეძებდა თვალი —
მთვრალი სიზმრების ხიდი
და მზით მოხალულ ცაზე
ფერს ფურცლებივით ვცვლიდი...
ცრიდა საათებს ცა და
სცადეს ცრემლებმა დენა
ვენებდასერილ ნისლებს
მზემ გამოუყო ენა...
წყენა დაეტყოთ თვალებს
ქალებს — ფარფატი ბამბის
ვერ დაასრულა ქარმა
ქროლვით მოყოლა ამბის...
ამ დღის დასასრულს ვეძებ
ვეძებ სხვა წარსულს ამ მზის
ვაზის ქარვაში დაღვრილს
ზღვის ანგელოზი მაზის...

ვაჟას

მთები ყვირიან მთებისას,
ზღვები ზღვებისას ამბობენ,
სულში ბულბულნი დამუნჯდნენ
ტირიან, ველარ გალობენ.
ცაზე ვარსკვლავთა ჯოგები
სხივთა ჭენებას ლამობენ.
ისე შესცოდეს თვალებმა,
სიზმრებიც აღარ წყალობენ.
რა დავაშავე ღმერთებო,
ღამედ რომ მაწევთ თავზედა,
ცას ვფიცავ ღმერთი ერთი მყავს —
სული, გაკრული ჯვარზედა.
მაშ დამეხსენით ცოდვებო,
კლდიდან მოწყვეტილ ბოდვათა...
სიტყვას ვერ შემაცვლევინებთ —
სიტყვას, დანთებულს ლოცვადა.

* * *

ნეტავ რას ნატრობს ნეტარი
ნეტავ რის ნახვას ენატვრის
იქნებ სისხლივით დენა მტკვრის
ენა მტრის ნახვას შენატრის.
ნეტავ ნეტარი რას ნატრობს
ათრობს თვალებს და მხნედ არი —
თეთრ ცხენზე თეთრი მხედარი —
წევს მთვარე — ღამის ცხედარი...
ნეტარი ნატრობს ნეტავ რას
ცას ნატრფობს ათბობს ნოტებით
ქუხს ცაზე ღამის ლიტავრა
სიზმარს შეზრდია ტოტები.

* * *

დრო — ირიბი გვირაბია
არც ერთ თარიღს არ აბია
ხელის გულის ღარებია
სველი სულის კარებია
და ხელმიუკარებია...
ცა — სიზმრების სარეცელი
ცას სიზმრისთვის არ ეცალა
ცას ციური სიციმციმე
გაუოცდა, დაეცალა...
და ჩემს მიწას გაეცალა...
მიწა — ჩემი ძმადნაფიცი
მიწას, ტყუილზე ვერ ვიფიცებ
მიწა — ის რაც კარგად ვიცი
მიწა ღმერთის ლურჯი კვიცი
ცდის ოფიცრებს...
„ღმერთი — ჩემი ლეკვის თათი“
ღმერთი — ჩვენი მცნება ათი
ღმერთი — ზიარება ბრმათა

ღმერთი ჩვენი მესაათე
და შაბათი.
დრო მიწა და
ცა და ღმერთი
ერთი მზე
და მთვარე ერთი
აი ის, რით
მდიდარია
ერთადერთი
ადამ ერთით
ადამეთი.

* * *

ჭიკ-ჭიკ, ჭიკ-ჭიკ
ვერ გადავაჩვიე ჭიკჭიკს ჩიტები
ან ენა მასწავლონ
ან ჩემი ისწავლონ... ჭიკ!

* * *

მღვრიე ვნებების მონა
ცას ასხლეტილი სარკე
სველი სიზმრების კონა
აჯანყებია კანონს...
დუმს კუზიანი მთვარე
და სრულყოფისკენ ილტვის
ამსხვრევს ჩარაზულ კარებს
ღამის სნეული ფილტვი...
ძინავს თეთრთმიან დარაჯს
თოვლი აყრია ძველი
აქ მან ოდესღაც არაბს
დანით გამოჭრა ყელი...

* * *

ჩემს სარკმელში დაიცალა ზაფხული
და ტყეებიც ჩამოცვივდნენ ძირს.
წვიმს და თვალი წვიმით არის გართული,
წვიმს... და მეტი სხვა რა გითხრათ:
წვიმს.

გლისანდო კოპვლიმეენტებით

* * *

გეუბნები რომ მიყვარხარ
მეასეჯერ!
მე ასე ჯერ
არასოდეს მყვარებიხარ!

* * *

ნუთუ შენც და მეც
ერთი ღამე გვაქვს
ღამე ფერადი
დილის სარჩული,
ნუთუ შენთვისაც
მზე გვირგვინია
ცაზე სამეფოდ
ნებადართული.
ნუ მომთხოვ ლექსებს
მე ხომ ისედაც
ვარ შენი სიზმრის
ღამე — მესია.
ასე მგონია
რომ ერთად ყოფნა
შენი და ჩემი
თვითონ ლექსია.

* * *

მე არ მაღელვებს
მერი, დიანა.
მე ხომ თვითონ ვარ
მერიდიანი...
მე დედამიწას შემოვხვევ ხელებს,
დიახ არა ვარ
მე რიდიანი.

* * *

რატომ ჰგონიათ,
რომ ვუალი, იდუმალებას უმძაფრებს თვალებს
ისევე როგორც ლურჯ აფრებს ქარი...
ზის სავარძელში...
მაპატიეთ, ბრძანდება ქალი
და ტუჩებიდან ისვრის ბადეებს...
თანაც სიტყვები სველია ღვინით
და შენ გგონია
რომ ამ ბოთლიდან ამოვა ჯინი
და აგისრულებს უეცრად სურვილს...

მერე რატომღაც, გაიხსენებს ნაწყვეტს ლექსიდან
უცხოეთში გადახვეწილი რუსი პოეტის...
შენ იგრძნობ, როგორ შეუძლიათ ამ ხელებს ხვევნა,
მერე მოისმენ, როგორ ძლიერ ენატრება
თავის ქალაქი,
ჭიქა არაყი, გაგახსნებს, რომ შენც იქ ცხოვრობ...
და ვნებააშლილს დაგელევა სიტყვის მარაგი...

ხვდები რომ ომობ,
და ვინც გიყვარს, აღმოჩნდა მტერი...
მტვერია თითქოს, ყოველივე რაც უკვე იყო...
ვარ თითქოს მკვდარი... არაფერია,
ჩემს თვალწინ ჩუმად საუბრობს ქალი,
რომელიც მთვარის აფრაა და ჭირდება ქარი...

* * *

მახსოვს, მაბნევდა შეშლილ ტალღებით
მე იმ ბუნდოვან დღეთა ნაპირი.
ზღვად დაქცეული ცვლილება ფერთა —
სალამოების ლურჯი საფირი.
ზღვიდან მონაბერ ლურჯი ქარივით
ვიკარგებოდი შენს გაშლილ თმებში.
შენ კი იწექი მზესავით მშვიდი
და ცვეტაევა გეჭირა ხელში.

* * *

ნუ აგვიანებ,
თორემ ზამთარი
მოვა გამთბარი...
სხვისი ტუჩებით...
ქუჩებს დამალავს
ძველი ქალაქი
და მზის დალაქი
სიზმრებს დავარცხნის...
ნუ აგვიანებ...
ნუ აგვიანებ...

* * *

დაუსრულებელს მაგონებს ნახატს
ვიწრო ბილიკი — ხელები შენი,
დაღლილ ყვავილებს თოვლივით ახალს
ეფეროვნები ნაზი მოწყენით.
დაგებედება თეთრი იები,
ზღვა — შენი თმები — აკაციები
და ამ სიცივით განაციები
ისევ დაგხატავ და ისევ წავალ.
ნუ გეშინია იმ დასრულების,
როდესაც ღამე შეღებავს ნახატს,
მე დავბრუნდები, მოგიტან ისევ
დაღლილ ყვავილებს თოვლივით ახალს.

* * *

ვიცი ქარი რა არის,
მაგრამ შხალი არა,
გარეთ ქარიშხალია?
ქარი ამბობს — არა.

* * *

ქალაქმა თითქოს ჩაიცვა შავი
ზამთარი თოვლსაც აღარ გვპირდება
უცხო სარდაფში მგონია თავი
და ისევ შენი სითბო მჭირდება.
დავბრუნდი, მაგრამ ძველმა ქუჩებმა
ქალივით უცებ გატეხეს ფიცი,
ვერ შეინახეს ცეცხლი ტუჩებმა
და გაიყინენ უჩემოდ ვიცი.

* * *

გადამჭვირვალე
ძველ ფარდებს იქით
ქალის სხეული მდიდარი ფიფქით
მიართმევს დემონს ალუბლებს ჭიქით
და დაიწვება...
მე მინდა სადაც ალია თმების...
ვიყინავ ბახის ნოტებით თითებს
და შენი სუნთქვის ექოთი ვთბები
როგორც არავინ...
არავინ არ ვარ, როცა ერთად ვართ,
შორს სადღაც ქრება ჩემი სახელი...
და როცა ბაგე თვალებს ეხება
კვლავ მეორდება რიტუალი
თვალის ახელის...

* * *

ეგ შენი ბაგე
განგებამ განგებ
სიზმრის საგებად
მე შემახვედრა...
იქნება ვაგებ
მე ტაძარს საქებს
და შენთან ყოფნა
ჩემი ხვედრია...
თუ კი შადრევანს
ცამდე აზიდულს
ქაფის მტევნები
არ უვარდება...
მზეს უყვარდება
სველი ვარდები
და მაისობა
არ უმთავრდება...
მთვარე მთვრალია,

მთვარეულებით
დროთა შეხება
არეულია...
იქნება განგებ
ბაგე განგებამ
სულით შემოსა
და ორსულია...

* * *

ნოტები...
მე მაგონდება და ვღონდები
გშორდები...
და მზე დაგორდება...
ორდება და
ხმა — შემომქმედი
— მოვედი და გზა ოქროვდება
ნოტები...
გროვდება და მზის ნაფლეთები
წვეთებით, და სიზმრის ბლონდებად...
ლოდებად და სივრცის კვეთებით
ვენთები და მთვარე თოვდება...
ნოტები...
ქარია და თოვს აკორდები
გოდებით...
და ავემარია
მკვდარია...
მიახლოვდები და მშორდები
და მაინც შორია
გლორია...
ქარია...
ნოტები.

* * *

აჭკნობს ყვავილებს და ცას აგლოვებს,
ამ შემოდგომის ყოველი წამი.
ხეები უაზრო კარტებად დარიგდნენ,
ქუჩა სავსეა ფოთლებით — გვამით...
ამ საფლავებში ვეძებ გაზაფხულს,
მზეს გადარჩენილს, დამალულს შენთვის:
მოვა ზამთარი და პასუხს მომთხოვს
ამ ქურდობისთვის, ამ გაქცევისთვის...
მაგრამ ჯერ ისევ შემოდგომაა
და აძრობს ქარი წამწამებს ხეებს.
მე ვარ შეშლილი ტყეების მეფე —
მეფე, რომელიც მოუკლეს ტყეებს.

* * *

უცხო მარხილებს წაულიათ თოვლი
არ გათოვდება არასოდეს...
ვერცხლის მილებში ჩაკარგულა წვიმა.
არ გაწვიმდება არასოდეს...
ვილაცა მიჯნურს მოუკრიფავს ვარდი.
აღარ ამოვა არასდროს...
სხვის სარკეში დამსხვრეულა მზე.
არ აენთება არასდროს...
ზღვის თვალებში ჩაქცეულა ცა.
თვალს არ გაახელს არასდროს...
ღმერთო მე რა დამრჩენია სხვა
არ გავთენდები არასდროს...

* * *

შავ ღვინოში ალუბლები ბანაობენ,
ეგ ტუჩები დასალევად მენანება...
ბილიკებად ჩამოყრილი შენი თმები
გზას მიბნევს და...
ეს სიბრმავე მენატრება.
ფანჯრის რაფას დაეკიდა შემოდგომა,
გარეთ წვიმამ ნისლის ქოლგა დაიხურა.
ეს ამბორი, როგორც მთვარის ნაფეხური
მაჩუქა და
კარი ჩუმად გაიხურა.

* * *

ქალაქი დაემსგავსა ქაღალდს
და ხალხიც ნახატია ძველი
შენ გავხარ ცისფერ მთვარეს ახალს
თუმც ღამე აღარაფერს ელის.
წვიმს, ცაზე სიზმარივით ჩანხარ
შენ ჩემთვის სამყარო ხარ მთელი
და როცა საბოლოოდ წახვალ
მე მინდა დამიქნიო ხელი
და მე არ ვიცი
რა მელის
რა გელის
რა გველის
რა გველის
რა გველის

* * *

დამესიზმრეო, გევედრებოდი,
გახსოვს? იმ ღამეს, მთვარე რომ მოკლეს...
შემიყვარეო, გევედრებოდი,
ნისლი ათრობდა შებოლილ სოფლებს...
და მე დაღლილი, თვალებდაღვრილი,
ვეხეთქებოდი მთვლემარე ხეებს.
მე შეგევედრე, დამესიზმრეო,
შენ კი ბავშვივით იქნევდი ხელებს.

* * *

ვარსკვლავების ნალმმა
დღე აბრუნა წალმა
ღამეების აღმართს
ვერ გაუძლო წალმა —
მთვარე უცებ გაცვდა
თეთრ ცრემლივით ღაწვთან
და სხივების ეკლებს
მზემ დაუწყო დაწნა...
დადნა თოვლი ხელზე
მზეზე უფრო მწველი
ვარსკვლავები ყელზე
მარგალიტზე ძველი...
მე მიყვარხარ ალბათ
ცაზე უფრო ძლიერ
ერთად ყოფნის ანბანს
დაუბრუნებ იერს...

* * *

ქუჩები, ქალაქის უტყეო გალია
სავსეა წვიმების ცბიერი დეზებით
სიყვარულს ელვარე ეშვები აკლია
სიბრმავე — ლექსები ნაკითხი ხელებით.
თუ მთვარე ეშმაკის ნალესი ბრჭყალია
და კაწრავს ღამეებს მონამლულ სიზმრებით
მზე ახალგაზრდა მკერავი ქალია
ცას დღეებს აკერებს ოქროსფერ თითებით.

* * *

ნუ გეშინია, მომკიდე ხელი
უფსკრული ჩემი მეგობარია
დღეს ვარსკვლავებზე გეპატიჟები
ეს ბნელი ღამე ჩემი ბარია...
რა გნებავთ, ყავა მთვარით თუ რძით?
მე გთხოვთ მიირთვათ ღრუბლის ბამბები
აღაფრთოვანებთ თქვენ ქარებს თმით
თმებზე ფიფქები — ახალი ამბები.
მე მინდა გაკოცო, ვიცი შენ გრცხვენია,
ვისი ვალი გაქვს, ტუჩები შენია.
მე გკოცნი შენი სიზმრების დალაქი
სადღაც კი მიწისძვრით დაინგრა ქალაქი.

* * *

გაწყენინე? დაივიწყე,
როგორც ცუდი სიზმარი.
მზეს ხანდახან ნისლი ფარავს,
მაგრამ ისიც მზის არის...
ცა სავსეა ღამეებით
და ვერცხლისფერ დანებით.
ო, რამდენჯერ დაუსერავთ
ელვით სარკმლის თვალები.
შენ კი გძინავს, ნაზად დაღლილს,
და სიზმარიც ნელდება.
მე მიყვარხარ ისე ძლიერ,
ზოგჯერ თქმაც მიძნელდება...
გაწყენინე? დაივიწყე,
როგორც ცუდი სიზმარი.
ცას ხანდახან ღამე ფარავს,
მაგრამ ისიც ცის არის...

* * *

მზე გახურებულ ფეხებს
იგრილებს ცისფერ ზღვაში.
მიწვდა ოცნებას — ნაპირს
ტალღა — პატარა ბავშვი.
ეალერსება კენჭებს
თმააჩეჩილი ქარი,
წევს და წერს შენთვის ლექსებს
შენი შეშლილი ქმარი.

* * *

მე მომენატრე,
თვალი დავხუჭე და შენ გინატრე
და ასე დავრჩი თვალდახუჭული...

* * *

ჩემგან შენამდე ათასი ცაა
ცა — ქირმანშალის ორნამენტები
ხაზთ ხვეულება ისეთიცაა
თითქოს შენც გიშრის ღამედ ენთები
დადიხარ, აღებ სიზმრის დარბაზებს
გზას გითითებენ ლაბირინთები
ინთები, ქრები, თოვხარ, ფითრდები
გრძნობ, როგორ ქსოვდნენ ღამეს თითები...
დიდი ხარ, ნოტებს — თანავარსკვლავედს
შვიდქიმიანი მისცეს ხიდები
მე და შენ შორის ათასი ცაა
ასიათასჯერ მოვალ, გპირდები...
დედა ხარ, და ხარ, ზღვა ხარ, მიყვარხარ...
ცას ერთი ძაფის ფერით მივყვები
მე და ჩემს შორის, ათასი ცა ხარ
და ათასწლიან სიზმარს გიყვები...

გლისანდო კომპლიმენტებით

მახსოვს, მეჭირა ხელში ტიტები,
როგორც საყვარელ ქალის თითები.
ქარებს რომ მთვარემ ღამე უთია,
ეს იმ ბაგეთა სისათუთეა...
ველარ ვიცილებ მთვარის მაგიას,
უკან ბრუნდება — ბუმერანგია...
ზღვაზე ფერფლისფერ გზებად აგია,
ისე მიზიდავს, თითქოს ბაგეა...
თითქოს ჩურჩულია, თუ ქარია ნეტავ?
იისფერია თუ თეთრი?
ეს ის თმებია, თუ ზღვები მერთვიან?
უსასრულო ხარ თუ ერთი?
ცისარტყელები გეფერებიან სველი ხელებით,
შენი თვალები უსასრულო ოცნებებს ჰგვანან.
თმები — ქარები, წამწამები — ოქროს კალმები,
როგორც პალმები თეთრ ნაპირზე —
ლოყებზე წვანან...

* * *

გაითავისა ავის, უნებურობა თავის...
თავის სხეულში ლამის,
ცა ჩაისახლა ღამის...
ამის ატანა მიჭირს
იმ ჭირს სატანა იტევს
ითმენს გარდაცვლილ სირცხვილს
და მართალივით გიტევს...
გაყიდულ ღამის ალი
თავზე მაყრია ნაცრად,
უბრალო სიტყვა ქალი
ჟღერს ანგელოზზე მკაცრად
აცრა სჭირდება მთვარეს
ცაზე მძვინვარებს სენი
ვაღებ იდუმალ კარებს
და მეშინია შენი...

* * *

როდესაც სურვილს უკვდება ღამე
და სხვა მთვარეებს ეძებს თვალები
მინდა იცოდე უბრალო რამე
მე დაღლილი ვარ შენი წვალებით...
მე ვერ გამტყუნებ როდესაც ვხედავ
როგორ ფითრდება დროთა შეხება
შენ გქვია ჩემი შვილების დედა
მაგრამ მე და შენ ეს არ გვეხება.
რა ვქნა რომ დროში არსებობს გუშინ
რა ვქნა რომ ლექსიც ცვდება დღესავით
ცა მიჩურჩულებს რაღაცას ყურში
და მეც ჩავდივარ ზღვაში მზესავით
ღამეს — აბრეშუმს გაუჩნდა ჩრჩილი
და მთვარე სადღაც მიდის, მშორდება,
ოთახში გდია ვარდების ჩრდილი —
— ჩვენ — რაც არასდროს განმეორდება...

* * *

სონეტი
სონატა
ო, ნეტავ
მონათა
თონეთი
მენათა...
დამწვარი ვწევარ და
მშიერი მწევარი
თითქოს მწერია
და თავშესაწირი
სხვისი წერაა...
სონეტი
სონატა
ო, ნეტავ
მონათა
თონეთი
მენათა
სონეტი
სონატა
სონატა

სონეტი
ნოტს ციდან მონატანს
მონა ტანს რომ ატანს
სატანის ატანის
ტანია პოეტი...
სონატა
სონატა
სონატა
სონეტი...
ო, ნეტავ
მონათა
თონეთი
მენათა
სონეტი
სონეტი
სონეტი
სონატა...

* * *

პეპელა ერქვა
ცისფერ საღამოს —
ჩვენი შეხვედრის
მოკლე სიცოცხლეს.

გლისანდო სიტყვებით

* * *

უცნაურია
ცის სინარცისე...
დღეს ლამაზია,
მაგრამ არც ისე...
მთვარემ არ იცის
მისი მისია
მაისის მზე, რომ
დედამისია...
ეს ვარსკვლავები
დო,
რე,
მი,
სია...
და ეს ნოტები
ნეტავ ვისია?
ცის ის არ არის
ადამისია...
უცნაურია
ცის სინარცისე,
მაგრამ არც ისე.

* * *

სველი ვარ სიზმრით...
ცამ დაისერა ვენები ელვით
და საღამოთი
მზით დაიცალა.
სავსეა ღამით ბროლის ჭიქები,
ისე სავსეა,
ვარსკვლავებიდან ღამე გადმოდის.
სველი ვარ სიზმრით...
დიდი ხანია უკვე ასეა:
როცა სავსეა ოთახი მთვარით
და როცა თვითონ მთვარე სავსეა —
სველი ვარ სიზმრით...
მდინარეები მოადგნენ სარკმელს.
მერე ნელ-ნელა გაიყინა მთელი ქალაქი...
წაქცეული შემოდგომა შენს ხელებში დავაბინავე;
აღარც კი მახსოვს ის ზაფხული როგორ გავიდა.
მახსოვს, რომ თოვლი მოვიდა დიდი —
იმდენად დიდი,

რომ არ მესმოდა შენი ფეხის ხმა.
და ვერც გავიგე, როგორ წახვედი...
გაზაფხულზე მტირალა თოვლი
მიყვებოდა უცნაურ სიზმარს.
სველი ვარ სიზმრით...

* * *

მერამდენეჯერ
ჯერ მე რამდენი
უნდა განვდევნო
დღეთა დინება
მიადო ღამემ
ლულა საფეთქელს
ლოყაზე მთვარე
მოედინება...
დიდია ცა და
სცადა დიდება
და დის ცრემლები
დააბინავა...
ის დადის ფეხით
მწყურვალე ზღვაზე
და ვევედრები
მითხრას ვინა ვარ...

* * *

მეორედ მოსვლა სტუმრად
მეორედ მოსვლა ქალთან
მეორედ მოსვლა სიზმრის
მეორედ მოსვლა სიზმრად
მეორედ მოსვლა ქალის
სტუმრის მეორედ მოსვლა
მეორედ მოსვლა სახლში
წვიმის მეორედ მოსვლა
მეორედ მოსვლა თოვლის
ღმერთის მეორედ მოსვლა...
მეორედ მოსვლა პირველად...
პირველად მეორედ მოსვლა.

* * *

დედა...
ექსკურსიები ჯვარზე...
რბილი კოსმოსი...
ჩაი ლიმონით...
ჩურჩული —
ჩრჩილი შეპარული ჩუმად ღამეში —
ნახევარმთვარე...
— ხანშიშესული შიში —
ჰაშიში...
— თქვენ, სიშიშვლე უფრო გიხდებათ...
მახსოვს ჩვენ ერთად ვიპარავდით
დღესასწაულებს...
სამკაული.
— ტელეფონი გადაღლილი უცხო სლოკინით
ლოგინი —
სამოთხე ჩუმად მოყოლილი ქალის ტუჩებით...
მეგობრის ცოლი.
— ცალთვალა კატა
(მბეჭდავი შეცდა) ორთვალა კნუტი —
თიხის ყულაბა დამსხვრეული უცხო ოთახში,

სიზმარი —
ხურდა —
ეკლესია გადაღლილი სხვისი სანთლებით...
დაბრუნება...
მზეს სარკით თვალებში ნუ მანათებთ
დედა...
მამა...

* * *

რა საშინელია,

ათიმილიონხუთასოთხმოცდაჩვიდმეტიათასცხრაასსამოცდათექვსმეტი

ჩინელი...

ათი მილიონ ხუთას ოთხმოცდაჩვიდმეტი ათას
ცხრაას სამოცდათექვსმეტი
შინელი...

* * *

მახსოვს ვკითხულობდი პლატონს
და ჩემს ნუცუბიძის პლატოს
ჩუმად ვადარებდი ათონს...
ათოვს მიტოვებულ ბინას
სძინავს ჩემზე ნაწყენ ნინას.
ბზინავს სიმარტოვით მარტი
მახსოვს ვკითხულობდი პლატონს
ძილში მიმყვებოდა დარდი —
— ნარდი ითამაშა მთვარემ
დედა სევდიანი დადის...
მახსოვს ვკითხულობდი პლატონს —
— მზე რა სერიულად ჩადის...
მარტში ვერ ჩაიცმევ პალტოს
და ვერც ლექსს ვერ დაწერ მარტივს...
მახსოვს ვკითხულობდი პლატონს
და ცას აღარ ვცემდი პატივს...

* * *

ო, რამდენ ღიმილს (თან რამდენნაირს)
იტევს ეს მზერა და თან პასუხობს...
ალბათ იმიტომ, რომ მათ თვალებში
იპოვოს ისევ, უცხო ხილვათა ბიბლიოთეკა...
მოთხოვოს სული, წაიკითხოს, შეიყვაროს და
უკან მისცეს...
თუმცა ყოველთვის, მათ მზერაში პოულობდა
საკუთარ არქივს —
თვალებს, ჩასმულს შავ ფრჩხილებში,
განზოგადებით —
ვერ გაექცევა თვალები წარბებს...
დაახლოებით ისევე, როგორც:
საქმე
N
სახელი:
გვარი:
ასაკი:
ფოტო:
სად დაიბადე:

და ასე შემდეგ...
ჰო, რას ვამბობდი?
სულ დამავიწყდა...
მოკლედ, მარტო ვარ და ძლიერ მინდა
ვინმე მოვიდეს და ჩუმად მითხრას:
სად ხარ აქამდე?..
ცაზე კი ოქროს ობობა მიბობლავს
და ქუჩას აბრუებს შუა დღის ქსელებით...
და რადგან თვალები სავსეა სიბრმავით
მე გეძებ ხელებით.

* * *

როცა თვალები — ქვევრებიდან ღვრიან ღვინოებს
და სიტყვები მაგონებენ აუწყობელ პიანინოებს...
მირჩევნია წახვიდე და ღამე იჩუქო.

გამჭვირვალე ლურჯ სარკმელში
დაეკარგა დილას სურნელი...
ვგრძნობ, რომ წლები მომეპარნენ შენი ტუჩებით
უცხო ქალაქს არ დაჭირდა ძველი ქუჩები
როგორც ადრე, საჩუქრები... რომ გამხდარიყვნენ...

ყოველი წუთი, სნაიპერის სამიზნეში გადიდებულ
სახეს მაგონებს...
როცა საფეთქელს შეცვლილი აქვს თავის
ფუნქცია...
შენ შეგიძლია ჩემს საათებს თითი მიადო
და ამ თითის მოძრაობით მერქვას სულელი...
ანდა მაშინ მკვლელის ხელმა თითი გამოკრას
მე მირჩევნია წახვიდე და ღამე იჩუქო...
რომ განშორებას მაინც შერჩეს თავის სურნელი...

* * *

ისევ დილაა...
კვლავ გავაცილე ჩემი სტუმრები...
და მაგიდაზე დარჩენილ ჭიქებს,
ჯერ კიდევ შერჩათ ანარეკლი
მათი ტუჩების...
ამ სავარძელში, იჯდა ჩუმად
ლამაზი ქალი...
ჩვენ ვმკითხაობდით მისი ცრემლებით...
და ლექსებით ვაშენებდით
ახალ სამოთხეს,
როგორც ასანთის ღერებით სახლებს...
ჩვენ არ გვეძინა და არ ეძინათ
ქუჩაში ძაღლებს...
და მათი ყეფა გვახსენებდა
ღამის გაქრობას...
ფარდების იქით თვალებს ახელდა რუხი ქალაქი,
რაც მაგონებდა გვლეშაპის გამოღვიძებას...

მე შემეშინდა... და გავიფიქრე...
ხომ არ ჩაყლაპა ჩემი სტუმრები ნეტავ ქალაქმა...
ისევ დილაა...

* * *

გამიჯნულ ხეების ლაბორატორია
ორია ამ ქვეყნად.
ერთია ედემი —
უნაყოფო თვითმკვლელობა უსასრულობის.
სადაც ყოველდღე გეპატიჟებათ ბებერი ცოცხი —
მზე — მარტოხელა, შინაბერა ქალის კაპრიზი.
სადაც არ უყვართ არითმეტიკა
და არც დღეების არითმია არ ირითმება
მეორე კი ის უფსკრულია
სადაც უბრალო მიმატებისთვის (ერთს პლიუს ერთი)
დაბადების დღეს გარდაცვალებით აგიღნიშნავენ.
შენ აქ ყოველდღე
ოთხსართულიან ბაბილონს აგებ
მართალია ულიფტოა შენი შენობა
მაგრამ უსაზღვროდ მაღალია შენი სარკმელი...
ყოველ საღამოს ურეკავ ევას...
თუმცა ედემში შუაღამეა,
ცას გადაუდევს მთვარის ყურმილი.
და ვერცხლის შუქზე
დაბალძაბვიან პეპლებივით ბჟუტავს ქალაქი
სამ-ოთხ დღიანი სამოთხეების...

* * *

ახალ ქალაქს ვეძებ,
გავრბივარ...
ამ ქუჩებში,
ყოველდღე ვილაცას კლავენ...
მე დავბრუნდები...
მე დავბრუნდები, როცა ყველაფერი დამთავრდება,
და ვივლი ამ ქალაქში მარტო,
სულ მარტო...
მარტო მე...
მარტო მე და მკვლელები...

* * *

დავილალე
დავი-ღალე
და-ვილალე
დავილა-ლე
დავილალე
დავილა...
დავი...
და...
დავილლები თავიდან.

* * *

შიში...
შიში დადის ქალაქში
უშიშარი მარშებით
არვის არ ეშინია
ის ხომ თვითონ შიშია
დამუნჯებულ სახლებში
დაარიგა ჩურჩული
ღამე პურის რიგშია
ისიც შეშინებული
შიში...
შიში დადის ქალაქში
შიში, როგორც ჰაშიში
თვითონ შიშის შიშია
ყველა შიშზე საშიში.
შიში...

* * *

დროა რიდის
მაგრამ როდის
მოდა მიდის
მოდა მოდის.
ამის გარდა
ცოტა გვერდით
შენ გყავს ბანდა
მე მყავს ბენდი
შენ ხარ ბონდი
მე ვარ დენდი
ინდი-მინდი
ფერად შინდი
ცოტა ხომ არ შემიშინდი?

* * *

სინანული — გუბე, წვიმის სახსოვარი,
მათხოვარი — ცაზე თვითმფრინავის ზოლი,
„ზილი" — ღამე არასდროს რომ არ მინახავს,
ძილი — უძილობა დააბრალეს
ბროლი — გაბზარული თოვლი...
თვალი — შენ რომ ჩემთვის არ ჩაგიკრავს
ბრალი — შენი ცოლი შემიყვარდა
დარდი — საიდუმლოს ვერ ვინახავ,
შიში — თვალებს ხელი ავაფარე,
ფერი — მე არ ვიცი არა ფერი
სული — ჯერ რომ ჩემთან არის
ღმერთი — ჩემი ლეკვის თეთრი თათი.

* * *

ღამეს ვარსკვლავები შეესია
შენი ეკლესია ეკლისაა
ჩვენი სიყვარულის მეკვლე მოკლეს
სხივი არ მეგონა ასე მოკლე
მკვლელმა ასე დასვა კამათელი
მზე მე ვერაფრით ვერ გავამთელე.

* * *

თოვლი...
თოვლი ქუჩებში...
დაბერებული თოვლი,
გაქვავებული...
თოვლი თვისებებდაკარგული
აღარც თეთრი, აღარც ნაზი...
თოვლი — ბავშვებსაც აღარ უხარიათ
თოვლი — სასაფლაოების საყვედური
თოვლი — გაქცეული ზამთრის ალიბი...
თოვლი...
ზამთარი ენის ქვეშ — ვალიდოლი,
თოვლი...

* * *

თუ გესმის ხმა...
თუ გესმის ხმა ფეხის
თუ გესმის ფეხის ხმა უკულმა...
ფეხის ხმა უკულმა თუ გესმის
ნულარ ხარ ბრმა...
ნულარ ხარ ბრმა, ნუ გიჭირს თქმა...
ნუ გიჭირს თქმა, თუ გესმის ხმა...
თუ გესმის ხმა ფეხის...
ფეხის ხმა უკულმა თუ გესმის...
თუ გესმის...
გესმის?

* * *

დამსხვრეულ თეფშებს გაურბიან ფეხსაცმელები...
საგრიმიორო სამმაგ სარკიდან
ერთიმეორეს მიაჩერდა ორი პროფილი
და შენ შუაში საკუთარ სახით თავგაპობილი
იცილებ ნიღაბს, როგორც რიტუალს —
ჩვენი ქორწილი.
და მერე სამად გაყოფილი შენი ტუჩები
ჩურჩულებენ:
მე ეს ჭიქები, გაურეცხავი,
მაგონებს ტუჩებს ჩვენი სტუმრების...
და მე არ ვიცი, რა გიპასუხო...

* * *

ყოველ პარსვის დროს
თითო ნიღაბს ვტოვებ სარკეში
საპირფარეშო დაემსგავსა საგრიმიოროს...
მე ვმეორდები ყოველ საღამოს...
ალბათ ვბერდები...
დღეები გვანან მაკულატურას
ღამე ჯართია...
დავიწყებული სპექტაკლები
სიზმრებს მაგონებს...
ძველისძველ სიზმრებს
ისე ძველს, რომ თითქოს ცხადია,
იდუმალებას დაეკარგა ძველი ელფერი
ძველი ჟირაფიც აღარ არის ელეგანტური
აღარ მაღელვებს მე სიტყვების აკრობატიკა
მზე დაემსგავსა ჰიპოპოტამს — უამინდობას
მე დეპრესიას ვერ დავარქმევ ამ ჩემს განწყობას
და ვერც ამწყობი ვერ ამაწყობს როიალივით
ყოველ პარსვის დროს თითო ნიღაბს
ვტოვებ სარკეში
უძლური რომ ვარ მე ჩემს წინაშე, ეს ის სარკეა...

* * *

ღამე საბანია
მთვარე აბანოა
ცოდვა ება ნოეს
ჩამოსაბანია.
ღამის კიდე-ბანი
უკიდეგანოა
და მზის კიდობანი
ცოდვით ება ნოეს...

* * *

იერუსალიმო
სალამი
იარა იარამ
ია რომ
გააიერუსალიმოს
ალილუია
ალილო
სალამი
იერუსალიმო
სალამი
იერუსალიმო
სალამი
იერუსალიმო.

* * *

ორი ათასი
ერთი თეთრი
მეორე?..
შენი თითები მორბენალი შავ კლავიშებზე
ორიათასი ლოკოკინა ტუჩებივით მიკრობილი
ჩაძირულ გემზე
მილიარდ ნიჩბით გალახული ზღვის ლურჯი სახე
როსკიპი მთვარე ერთდროულად ყველა სარკმელში —
ისევე როგორც სიტყვა „თოვლი“
თეთრი თოვლივით გაპარული შენ ლექსებიდან
ორიათასი აღდგომა და...
ათასი ღამე —
შენი თითები მორბენალი თეთრ კლავიშებზე
უცნობ სიზმარში მგლოვიარე მზის სამძიმარი.
ორი ათასი...
ერთი თეთრი
მეორე?..

* * *

მე მტკივა ყველა მოჭრილი ხე
მე მცივა,
მე მცივა ცაზე ცისფერი
ლუციფერს ცვივა ძირს ფერი
მე ვგლოვობ ყოველ დაკარგულ ხმას
ტუჩები სავსე მზის ფერით...
დაღამდა...
მთვარე ვერცხლისფერ ხავსს
მაფარებს...
მე მცვივა სულიდან ძირს ფერი...
ლუციფერი...

* * *

სად ეჩქარებათ...
სად ეჩქარება ნეტავ მსოფლიოს...
საიდან საით...
ან საათები რატომ წერენ
შავ-თეთრ ქრონიკას...
როცა უყურებ საუკუნის დასაწყისის
ძველისძველ კადრებს
ასე მგონია, მართლა ასე,
უცნაურად დადიოდა ქუჩაში ხალხი...
ჩვენ ალბათ უფრო ჩქარა დავდივართ...
დრო შეაჩერეთ!..
სიყვარულისთვის მე უფრო
ნელა მინდა ვიარო...
სად გეჩქარებათ,
საიდან საით...

* * *

მე მიყვარს თბილისი...
რძის მანქანებით ნაბეჭდი დილის თეთრი პოეზია.
შავებში ჩაცმული გამვლელი ქალის
ახლადგამომცხვარი პურის სურნელი...
არაფრისმთქმელი რუხი აფიშები
გარდაცვალებული ძველი კონცერტების
შეურაცხყოფილი ახალ თარიღებით...
მოხუცი მეეზოვის პორტრეტი.
მე მიყვარს თბილისი...
ფეხსაცმელებით ნაბეჭდი ქუჩების მძიმე პოეზია.
ყდაარღვეული დღეების წყევლა —
უსახო ღამის ილუმინაცია.
ქალები აღარ გვიყეფენ გრაციით,
ჭრელი სულები ყურმილში დამალეს...
დღეს სხვა მუსიკაა —
ტელეფონებია...
ქალებს მოტაცების აღარ ეშინიათ,
ტელეეკრანებს კოცნიან ხედები,
ბავშვები ექვსამდე ბაღებში არიან,
ექვსის მერე კი ქრებიან დედები.

მე მიყვარს თბილისი...
კაფე „მეტროს“ ნანგრევებით ნაბეჭდი
რუსთაველზე მოჭრილი ხის პოეზია.
მახსოვს როგორ დავდიოდი „კოსმოსში“,
დრო გავიდა და უდროოდ გაზაფხულდა.
დღეს სამძიმარს მეუბნება ზამთარი...
ტროლეიბუსებს მარშრუტები აერიათ
და სამ ნომერს აღარ უცდის არავინ.
მე მიყვარს თბილისი...
გულმავიწყი საათებით ნაბეჭდი
გაჩერებულ დროის ჩუმი პოეზია.
ამხანაგის გაყინული სადარბაზო —
დაბრუნების უნებლიე სადგური;
ეს ნოტები ტელეფონის ნომრებია —
გადარჩენის იდუმალი სათბური.
სად გაფრინდა ფურცლის მძიმე თვითმფრინავი —
კიდობანი — დასაღუპად ნაგები...
წვიმს, რამდენი სიზმარია მოკვეთილი —
ოცნებები ტყვიით ნაპირკეთები.
მე მიყვარს თბილისი...
ამერიკულ სიგარეტით ნაბეჭდი
კომერციულ სარდაფების პოეზია.

გაშიშვლებულ ღამეების ანონსი,
მანქანების ქალებივით მოტაცება,
ნოემბერი იტალიურ პალტოში,
მფრინავ ბუშტთა უცნაური გალერეა,
თითქოს ბუშტებს გამოება ქალაქი.
ყველაფერი კარტებივით აირია,
ღამეებსაც აღარ პარსავს დალაქი.
მე მიყვარს თბილისი...
საშობაო ნაზი თოვლით ნაბეჭდი
სველ ქუჩაში გადაყრილი,
ძველი სათამაშოების პოეზია.
დავიწყებულ ტკივილების სონეტი...
ყველა სახლში ცრემლის ერთი პორტრეტია
(აგვისტოში დაღუპული ივნისი).
ეშაფოტზე აყვანილი თბილისი, ხომ
სასიკვდილოდ განწირული პოეტია?
მე მიყვარს თბილისი...

* * *

ცივი დო,
ცივი რე,
ცივი მი,
ცივი ფა,
ცივი სოლ,
ცივი ლა,
თბილი სი.

* * *

კვლავ გაიძარცვა ნოემბერი
ყვითელ ფარდებით
თეთრ კედლებიდან ფანჯრების ნაცვლად
გვიყურებენ ნეკროლოგები...
შემოდგომაა... არჩევნებში მონაწილე არადანები
სამოთახიან სამოთხეებში ბრუნდებიან
როგორც ფოთლები...
გარეთ ქარია...
გადამწვარ სახლებს
წვიმის მილები წვეთოვანივით უოკებს ტკივილს.
წვიმს, რუსთაველზე მძინარე ლომებს
მშრალი ხახიდან წყალი გადმოსდით.
ცარიელ თბილისს აღარ შერჩა ძველი ხალისი
დღეს ამ ქუჩებში აგროვებენ მოხალისეებს...

* * *

ომი...
— ომის თეორემა...
წამმა ომით,
ომმა წამით,
დაასრულა გამა კვდომით,
გვამმა...
აქსიომა ომის ნდომის,
კომპლექსია კატის — ლომი
და არ იცის თვითონ ტომმა
რატომ უნდა დაამსხვრიოს გემი ნავმა.
ომი...

* * *

ჩემი თვითმფრინავი
გაფრინდება მალე,
თხუთმეტ წუთში ვნახავ
უფრო ახლოს მზეს.
მინდა დავივიწყო
ჭრელი შემოდგომა,
სველ ქუჩებში ჩუმად,
როგორ იცვლის ფერს.
უკვე ცაში ვზივარ
ჩემს ღრუბლიან დასთან,
სტიუარდესა მაწვდის
მინერალურ წყლებს.
ჩემს პირდაპირ კაცი
წყალზე უარს ამბობს,
ვიღაც გოგოს მკლავზე
ჩუმად უსვამს ხელს.
უკვე მომენატრა
მეგობრების ნახვა
ყველას უნდა
დავურეკო დღეს.

ალბათ აგვისტოში
ბიჭვინთაში წავალ,
ზღვა თუ რადიაციული
არ იქნება წელს.
ჩემი ტელეფონი
შეიცვლება მალე
ახალ წიგნში ალბათ
ვერ ვიპოვნი მე
და ქალაქში კვამლის
თეთრი ცელოფანი
ჩემს მისამართს ალბათ
დაგავიწყებს შენ
ეს საათიც გავა,
როგორც ასი წელი,
როგორც ერთი წამი
როგორც ორი თვე.
თეთრი მთების იქით,
თეთრი მთების აქეთ,
ჩემი თვითმფრინავი
ძირს ჩამოყრის ფრთებს.

* * *

მე ახლა მეახლა ახალი ხილვა —
მზე მოხალული...
— ქალბატონს სახელად დავარქვი ილვა...
მზერა მალული დამაელვა...
ამაღელვა ნაცნობმა რიცხვმა
ნული — მაგნოლიების მკვდარი სურნელი
ნული — საქანელების ნელი არსად სვლა
ნული — ნულის ნულიდან ნულში გადასვლა
ნული — შეგრძნება უცხო ნოტიო,
ნული...
გოლიათს მოაქვს ოქროს გალია
ოქროს ციხეში ოქროს ქალია
ოქროს ლოყაზე შავი ხალი აქვს —
დაღამდა...
მე ახლა ახალი ხილვა მეახლა
გამრუდებია ცას ხერხემალი —
მთვარის ემალი...
მალე მილეულ ნისლებს დავცლი და
ღვინოს დავწურავ...
გამომიწოდეთ ყურძნის მტევნები

მზეს ვნებით მთვრალი დავედევნები
შეხედეთ ღამეს —
ამოუვიდა სიზმრის წვერები...
ყმაწვილს სახელად დავარქვი მწუხრი
ცაო! თვალებს ნუ ხრი...
მე ახლა მეახლა ახალი ხილვა
მწუხრის სხეულზე წამოწვა ილვა და შეიყვარა...

* * *

საუკუნის ბოლო...
ქაოსი...
საუკუნის ბოლო ქაოსი...
ჩემი შენს მიმართ სიყვარულის ქრონიკა
— ფოტო, რომელიც არ გაყვითლდება...
წვიმა...
სიარული აუცილებელი და უმიზნო
მოძრავი სამოთხე
— მატარებელი, რომელიც ფრენას
ვერასდროს ისწავლის
ორსული ქალაქების კაპრიზი...
— ნუ წახვალ შორს...
(ისმის დედის ხმა)
წავალ, მაგრამ არ ვიცი, სად არის შორს...
ნუთუ მეც თქვენსავით უსუსური ვარ და ამაო
და ეს არის ჩემი თქვენს მიმართ სიყვარულის
მიზეზი...

* * *

აი
ჩემი
საქანელა
შევაფასე
სამ კუდ ხედი
იმიტომ რომ ასე ნელა
ვითარდება სამკუთხედი...

* * *

მოღრუბლულ ცაზე
დაფლეთილი მზის აბლაბუდა —
ცის საფრთხობელა —
ძველი მტერი, მტაცებელი შავი სიზმრების
ბელურასავით ჩამომჯდარი ვნახე სარკმელზე...
ერთგული ჩიტი თბილ ქვეყნებში არ გაფრენილა...
იანვრის თვეში მზე უფრო თბილი ყოფილა თურმე
მოღრუბლულ ცაზე დაფლეთილო მზის აბლაბუდავ,
დილა მშვიდობის!..

* * *

შენობიდან შენობამდე
უშენობას ვაშენებდი
მახსოვს შენ რომ შემოდი და
შენ ობიდან დაიბადე
დაიბადე როგორც ბადე
იბადება ობობიდან
უშენობას ვაშენებდი
შენობამდე შენობიდან.

გალაკტიონს.

ინება...
უბინაომ
უნებური
ვარდნა...
თოვლზე
უფრო
თავისუფლად
რომ ესწავლა
ბარდნა...

* * *

ტელეფონის ნომრები
უაზრო ციფრებად გადაიქცა...
მეგობრები...
ზოგი სად არის
ზოგი სად გაიქცა...
ქალაქი...
ფოლაქივით ჩამომწყდა
და დავკარგე...
ნატვრის ხე ღამით ჩუმად
ამოთხარეს, გადარგეს...
ქალები...
დაღამდნენ და გადაიცვეს შავები...
შავი ზღვა
ველარ მხედავს, აღარა აქვს თვალები...
ვენახი...
საფლავებთან დაიქცა...
რაღა დარჩა...
ტელეფონის ნომრები,
უაზრო ციფრებად რომ გადაიქცა...

* * *

51-20-06
22-18-96
23-22-55
29-26-85
22-79-04
99-65-23
ეს ბოლო დროა
ვცხოვრობ ამით...

* * *

თუ კი რამე გაქვს სათქმელი ცუდი
ნუ დამირეკავ...
ნუ დამირეკავ...
ქუჩაში გადი,
გააჩერე მანქანა,
ანდა...
მეტროში ჩადი...
ხალხით გაჭედილ მეტროში ჩადი...
სანამ შენ მოხვალ,
იქნებ ის ცუდი
ცუდი არ იყოს...
ცუდის სათქმელად ნუ დამირეკავ,
შენ თვითონ მოდი...

* * *

შენ შენი სახლი გაქვს,
შენი შენობა
მე უშენობა
სიშორე შენი
შენ ის ქუჩები ძლიერ გშვენიან
ქალაქი, შუაზე გამსკდარი სენით.
პარიზი უკვე ჩემი სენია,
გწერ პირველ წერილს
შენ, მამაშენი.

* * *

ზურგის ტკივილი რას დავაბრალო
I — დამიბერა,
II — დავბერდი,
III — ვერ გეტყვი
IV — პროსტატა
ან შეიძლება,
Просто так.

* * *

დაჯექი...
მოეშვი,
მოდუნდი...
მიაქციე ყურადღება...
შენი ფეხები როგორ ეხება იატაკს...
მოეშვი... მთელი სიმძიმით დააწექი სავარძელს...
ყურადღებით...
გათავისუფლდი... გათავისუფლდი.
წარმოიდგინე, რომ შენი სხეული ბამბაა...
ბამბა...
წარმოიდგინე, რომ ბამბის სპილოა, ბამბის სპილო...
ბამბის პატარა სპილო ხარ...
ბამბის სპილო, რომელიც ნელ-ნელა თბილი წყლით ივსება...
გრძნობ როგორ გათბა შენი ხელები... ნელ-ნელა თბები...
თბილი ბამბის სპილოს ღრუბელი ხარ...
თბილი ბამბის სპილოს პატარა ღრუბელი
ხარ თბილი,

პატარა ღრუბელი... გათბი...
გათბი და გაწვიმდი, გაწვიმდი...
კაპ... კაპ... კაპ... კაპ... კაპ...
დახუჭე თვალები...
ღრუბელი ვარ...
ღრუბელი ხარ...
მიყ-ვარ-ხარ...

* * *

თუ მე ვარ მიყ
და შენ მიყ ხარ,
ესე იგი
მიყ-ვარ-ხარ.

* * *

დილამ დაგავა ვარსკვლავები
და კუთხეში მოაგროვა.

ეს კუთხე ორ მთას შორის ამოწვერილი მზეა...

* * *

— როგორი ცაა?
— როგორიცაა!
სადაც
ცა ცაა,
და აღარცაა...
ავა ცა მტვერად,
გააცამტვერებს
ავადმყოფ ნაცარს...
ღმერთების საცავს
სიზმრებით დაცრის...
და ციდან ცარცის,
ჩამოყრის ნარცისს...

მერე ამ ზამთარს
ყვავილებივით მოგიტან სახლში.

შენ მეკითხები:
                როგორი ცაა?
და მე გპასუხობ:
                როგორიცაა!

* * *

ჯანდაბა
ზახრუმა
ზმუკი
დოზანა
ასე მეძახდა
მენაგვე ზოზანა
მე ამ სიტყვებმა
გამამგოსანა...

ბავშვობა
– ოსანა!

ცა გაინაბა. ამაყი ღამე აკეთებს ფოკუსს —
ალე!.. და მთვარეს ამოიღებს შავ ცილინდრიდან.
მერე ვარსკვლავებს — სერპანტინებს — ქუჩებში
დაყრის...
და დაიწყება საოცარი მეჯლისი უცხო...
მდინარეები ასისინდება გველის ცეკვებით,
ვერცხლის ტანებით ქალაქებს ყელზე
შემოეხვევა.
კონფერანსიე ღრუბელივით მოვა და წავა;
უცნაურია, საინტერესოს არაფერს იტყვის...
ქარი ფოთლების მიენდობა აკრობატიკას
და მარტოხელა ტროლეიბუსებს სულებს
დაუფრთხობს.
დააფრთხობს, როგრც ლურჯ მინდორში
დააფრთხობდა კალიის ჯარებს.
მერე უცნაურ, სასაცილო მასხარას ნახავ —
ხან წითელი, ხან ყვითელი, ხან მწვანე თვალით...
ზოგს საწყენად უთამაშებს მხოლოდ ყვითელი
და წვიმას ელის...
უსასრულო პაემანზე საათები საათობით დგანან

და დგანან,
თუმცა გზები გაილანდნენ და არვინ მოდის...
მერე უეცრად განათდება სადღაც მაღლიდან,
ვილაცის სახლში აინთება რატომღაც შუქი
და შენ ამ შუქზე მელანქოლიურს დაუკრავ სოლოს —
ძველებური აივნების ვიოლინოზე.
ლამპიონები იცეკვებენ, როგორც გედები.
ვილაც გაივლის და უცებ გკითხავს —
ცეცხლი არა გაქვს?
შენ მოისინჯავ ყველა ჯიბეს,
სულში ჩაძვრები... იქ შეიძლება იპოვნო კიდეც,
მაგრამ რატომღაც ის უკვე წავა...
მერე კი ისევ უცნაური და ამაყი მოვა ღიმილით:
ალე!.. და ამოიღებს უეცრად მთვარეს.
ალე!.. და დაიყრება ვარსკვლავების სერპანტინები.

როცა დაღლილი წუთებივით თეთრ სივრცეზე
მიმობნეული
გაქცეულ მზერას მოაგროვებ — სიზმრად
საქცევად,
ღამის სამოსელს მზესუმზირის ჩენჩოებივით

შემოგაძრობენ —
უსუსურს და გაშიშვლებულს გადაგყლაპავს
ქალაქი უცებ.
მზე მოგაგონებს პირველ სიწითლეს,
როდესაც გბანდნენ და ფანჯრიდან დაგინახა
მეზობლის ქალმა.
შენ გაიხსენებ შეხსნილ საკინძეს იმავე
ქალის ცისფერ კაბაზე,
შეშლილივით რომ ჩაგიყვინთავს იდუმალი
განძის საძებრად.
ეს მოგონება ერთი წამით დაგავიწყებს
ყველაფერს თითქოს...
თვალივით ნაქსოვს ქარის ძაფზე დაეკიდები,
ვიღაც უხეში გაივლის გვერდზე, იდაყვს გაგკრავს,
შენ ჩამოწყდები...
და დაიწყება გაშიშვლებულ შენობათა
გეომეტრია —
იქ, სადაც ტანჯვის მოლოდინით გაშლილ
ხელებით,
კუთხეები უსასრულოდ იზმორებიან,
კოლონებს კი სახურავი კუბოსავით ქუჩებში

მიაქვთ...
და შენც რატომღაც დაგერქმევა ჭირისუფალი.
მერე ნისლიან ათასობით უცხო თვალებში
იპოვი მზერას, ოდესღაც რომ ძლიერ გიყვარდა.
გაუგებარ და უაზრო, სველი სიტყვებით
თქვენ ერთმანეთს მიუსამძიმრებთ.
შენ მოგინდება ძლიერ გაწვიმდეს:
ცივ სახეებს დამალავენ შავი ქოლგები,
გუბეები სარკეებად გადაიქცევა
და სამყარო — მორბენალი წყვილი ფეხების
ყოველ გუბეში — დაამსხვრევს ნილაბს.
შენ საკუთარ ფეხსაცმელებს გაეკიდები
ისევე, როგორც უფლისწული დაბურულ ტყეში,
ჯადოსნური კოჭის ძაფით მიიკვლევდა გზას
სასახლისკენ.
ეს სიბრმავე მოგაგონებს შენს დაბადებას და
პირველ ტირილს,
შენი სულის პირველ საფლავებს,
სადაც ყოვედღე შენ გინდოდა ია დაგედო...
ამ იებისთვის გაზაფხულის დაიწყებ ძებნას
და უეცრად შემოგხვდება პატარა ლეკვი.

შენ გულგრილად ჩაუვლი გვერდზე.
ვერც კი შეამჩნევ... და მიხვდები, რომ ბავშვობა
დასრულდა შენი...
მერე დაღლილი, წუთებივით თეთრ სივრცეზე
მიმობნეული,
გაქცეულ მზერას მოაგროვებ სიზმრად
საქცევად.
ღამის სამოსელს მზესუმზირის ჩენჩოებივით
შემოგაძრობენ,
უსუსურს და გაშიშვლებულს გადაგყლაპავს
ქალაქი უცებ.
ალბათ ოდესღაც გადაღლილ სცენას
გაექცევა დეკორაცია,
მსახიობებს კოსტუმები ძველი თოვლივით
შემოადნებათ...
ამ სიშიშვლეს დაერქმევა
ბოლო სპექტაკლი —
როდესაც ორკესტრს დაემსხვრევა
ყველა საკრავი
და პარტერიდან „ბრავოს“ მაგივრად
იყვირებენ უეცრად: „ამინ“!

მერე ზევიდან გაანათებს ელვით მსახიობს
მოხუცი და გამოცდილი გამნათებელი.
ყინულებივით დაიმსხვრევა ყველა ნიღაბი
და სახეებს დაერქმევა სასოწარკვეთა...
„კონტროლიორს“ გაექცევა უბილეთო
ქარების გროვა
ბნელ დარბაზში კვირტებივით აფეთქდება
არეულობა.
გარეული სიზმრებივით დაიწყებენ ადგილის
გლოვას,
თუმც არასდროს არ ჰქონიათ თავის ადგილი,
იარუსიდან მოფრინდება თეთრი მანდილი
და უაზრო შემართება გასათნოვდება...
ხმას, გაქცეულს ნიჟარიდან, დააბრუნებენ.
დაიბრუნებს სუფლიორი დაკარგულ ადგილს.
და ჩურჩული მოაგონებს სცენას სიცივეს,
მერე უეცრად უსუფთავესი წამოვა თოვლი,
მსახიობები გააკეთებენ თოვლის ბაბუას
ამ სიხარულს დაერქმევა მონანიება...
და მერე, როცა დასრულდება თეთრი
სპექტაკლი,

როდესაც თვალებს დაეშვება ღამედ გუგები,
გადაღლილ სხეულს, როგორც დენტის
დეკორაციას,
გადაკიდებულს, მთვრალი კაცივით მიიტან
სახლში...
ამ დაბრუნებას დაერქმევა გარდაცვალება...

* * *

მომე ხმა რე
მომეხმარე...

* * *

ან
ბან
გან
დონ
ენ
ვინ
ზენ
თან
ისე ძლიერ მინდა თქვენთან, რომ
დო
რე
მი
ფა
სოლ
ლა
სის
თითქოს დაეკარგა ფასი...

ან
ბან
გან
დონ
რე
მი
ფა
სოლ
გთხოვ ეს შერწყმა შემიფასო...

* * *

ცა
მზე
გზა
ზღვა
მთა
კლდე
ქვა
ტყე
შენ ბზა
შენ ფრთა
შენ ხმა
მე ტყვე
ტბა
ხე
ჭა
რძე
თმა
და
ძმა
ძე

შენ ბზა
შენ ფრთა
შენ ხმა
მე ტყვე
აქ ბრბო
აქ ხბო
აქ ბუ
აქ სმა
აქ რქა
აქ რკო
აქ თხა
აქ ფხა
აქ ხვნა
აქ წვრთნა
აქ კვლა
აქ რყვნა
შენ ბზა
შენ ფრთა
შენ ხმა
მე ხსნა
ცა, მზე, გზა, ზღვა, მთა, კლდე, ქვა, ტყე...
შენ ბზა, შენ ფრთა, შენ ხმა, მე ტყვე...

* * *

ცა მეტია
ვიდრე
ცამეტი...

გლისანდო სიზმრებით .3
გლისანდო კომპლიმენტებით .91
გლისანდო სიტყვებით 125